Georgische Zeitung „SAKARTHWELO“

საქართველო

№ 3 (181) გამოც. მე-4 წელი   ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი   ბერლინი, 15 იანვარი, 1945 წ.

დოქტორი გებელსის საახალწლო მიმართვა გერმანელი ერისადმი

1944 წელმა საერთაშორისო კრიზისი უმწვერვალეს წერტილზე აიყვანა. კაცობრიობა შეესწრო ბარბაროსობის უსაშინლეს აქტებს. მას არაფრად მიაჩნია, როცა მთვრალი ბანდები, ტერორისტულ ბომბდამშენებში ჩამსხდარნი, უმოწყალოდ ანადგურებენ გერმანული კულტურის უძვირფასეს საუნჯეს; ის არად აგდებს ერთა განუსაზღვრელ ტანჯვა-წამებას, მაგრამ ამავე დროს გერმანელმა ერმა გვიჩვენა უდიდესი სულიერი და ფიზიკური ძალა ყოველივე უბედურების ატანისა. ეს ფაქტი გვაძლევს რწმენას და ახალ ძალას ხელახალ მოსალოდნელ სიძნელეთა დასაძლევად და ჩვენი დიდი გერმანული მისიის შესასრულებლად.

მართლაც, ბედის უსასტიკესი დარტყმები განვიცადეთ გასული წლის განმავლობაში: მტრის შემოჭრა კონტინენტზე, ტერორისტული საჰაერო თავდასხმები, უღმრთო თავდასხმა ფიურერზე, მოკავშირეთა ჩამოცილება, ბოლშევიკების აღმოსავლეთი პრუსიის საზღვარზე მოსვლა. მაგრამ გერმანელი-ერი ყველა ამ უბედურებას ხვდებოდა, როგორც კლდე ზღვის ტალღებს. როცა მტერი უკვე ომის დამთავრებაზე ოცნებობს და გერმანიის კაპიტულაციას მოელის, გერმანელი ერი ძალთა გაუგონარი დაჭიმვით მტერს მძლავრად იგერიებს და კვლავ ფეხზე დგება. მხოლოდ ჩვენი სულიერი ძალით, ჩვენი სიმამაცითა და ზეკაცობით მოვახდინეთ ჩვენ ნამდვილი გერმანული სასწაული. ზღაპრულ გერმანულ სიმტკიცესა და შეურყევლობაზე ილაპარაკებენ მომავალი საუკუნეები.

ჩვენი ქალაქების ნანგრევებზე ახალი ქალაქები აშენდება, სოციალური თვალსაზრისის მოთხოვნებით, ხალხის საკეთილდღეოდ. ბოლოს დრო იმ ახლებსაც დააძველებს, დაშლის და უკეთესით შესცვლის. ხოლო უცვლელი დარჩება ჩვენი გმირი ერის სასიცოცხლო ნებისყოფა, რომლითაც ის თავისი ისტორიის მანძილზე ყოველივე ზღაპრულ უბედურებას მამაცად და მხნედ იტანს და გამარჯვებას ჰპოულობს.

ყველა დიდ ისტორიულ ომებში თავს იჩენდნენ დიდი პიროვნებები, რომლებიც თავიანთ ერებს გაუგონარ სასწაულებს ახდენინებდნენ. ასეთი მეთაური ჰყავს დღევანდელ ომში გერმანელ ერს. ის ყველა სხვა ერთა მეთაურებზე უსაზღვროდ მაღლა სდგას. იგი თავისი ეპოქის ნამდვილი განსახიერებაა, თუ ევროპა სიცოცხლეს გადაირჩენს, მხოლოდ იმის მეოხებით.

„როცა მომავალში ამ ომის ისტორია დაიწერება, ისტორიკოსები გვერდს ვერ აუვლიან იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ გერმანიისა და ევროპის ამ სულისთქმისშემჩერებელ განვითარებაში, ხსნას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ერის მეთაურმა ჰპოვა ერი და ერმა ჰპოვა მეთაური, რომელნიც ერთმანეთის ღირსნი იყვნენ“.

გასული წლის 20 ივლისს, როცა ჩვენ ერთი წამით, როგორც დამბლადაცემულნი, უსაზღვრო უბედურების უფსკრულში ვიცქირებოდით, ჩვენ მორწმუნე ერი გვეხლდით. მტრის ვერავითარი გაქნილი პროპაგანდა ვერ შეგვიცვლის რწმენას, რომ გამარჯვება ჩვენია, თუ ჩვენვე ჩვენს თავს არ ვუღალატებთ.

გასულმა წელმა უსასტიკესი გამოცდების წინაშე დაგვაყენა. ჩვენ ეს გამოცდები დავიჭირეთ.

მე რომ შემეძლოს თვით ჩვენი უდიდესი მგოსნებისა და მოაზროვნეთა ენით ლაპარაკი, მაშინაც ვერ მოვახერხებდი ამეწერა, რაც წარსულ წელში ტანჯვა ავიტანეთ, მწუხარება და დარდი განვიცადეთ, გამბედაობა განვიმტკიცეთ, მორწმუნეობა გამოვიჩინეთ და ერთგულება ვაჩვენეთ.

როგორც ვძლიეთ გასული წელი, ისევე ვძლევთ მომავალსაც. ჩვენ მზად ვართ ყოველგვარი მოლოდინისათვის. მტერმა უნდა იცოდეს, რომ გერმანელი ხალხი იარაღს მხოლოდ მაშინ დაჰყრის, როცა გამარჯვება მტკიცედ ხელში ეპყრობა. **ეს არის ჩვენი ურყევი გადაწყვეტილება.**

მომავალი წელი ახალი ხანის დასაწყისი იქნება. ეს ახალი ხანა გვეკუთვნის ჩვენ, რადგან ის მხოლოდ ჩვენ დავიმსახურეთ. ის იქნება ჯილდო ყველა ჩვენი ტანჯვებისა და მსხვერპლისათვის.

აღმოსავლეთის მოხალისეთა დივიზიის წარმომადგენლების მიღება დოქტორი გებელსის მიერ.

„ვიკინგი მოიერიშენი“

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა ადმირალმა დენიცმა, სპეციალური ფორმაციის ჯარისკაცებს, რომელთაც ვიცე-ადმირალი ჰეიე სარდლობს, ნიშნად მათი თავგანწირული სამხედრო მოქმედებისა, მიანიჭა „ვიკინგი მოიერიშეების“ სახელწოდება.

ჯარისკაცების სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ადმირალი დენიცი სწერს:

გიგონებთ თქვენ სიხარულის ამაყი გრძნობით. დღეობით გიხდებათ ყოფნა მდინარე შელდის შესართავთან, მტრისათვის ესოდენ საჭირო მისასვლელ გზებზე იერიშების მისატანად. თავგანწირული ბრძოლით თქვენ დაიმსახურეთ უმაღლესი ნდობა და უკვდავი სახელი. პატივს ვცემ თქვენს სიმამაცეს. თქვენ, ჩემო მოიერიშე ვიკინგებო, წარმოადგენთ საუკეთესო მაგალითს სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელი შემადგენლობისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს ფიურერს!

ადმირალი დენიცი.

კოიზოს გამოსვლა

იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტმა კოიზომ საახალწლოდ რადიოთი წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა. მან გამოსთქვა იაპონელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე და აგრეთვე იაპონიის მთავრობის მისწრაფება — მიიღოს ყოველგვარი ზომები ამ გამარჯვების მისაღწევად. კოიზომ ხაზი გაუსვა ტენოის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა პარლამენტის მე-86 სესიის გახსნის დროს. როგორც ცნობილია, ტენომ მაშინ აღნიშნა — იაპონელმა ხალხმა მთელი თავისი ძალებით უნდა იბრძოლოს გამარჯვებისათვის.

მინისტრ-პრეზიდენტმა კოიზომ მოუწოდა სამშობლოში მყოფ იაპონელთ აიღონ მაგალითი ჯარისკაცებისაგან, გააკეთონ ყველაფერი, რაც შესაძლებელია სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად და მიაღწიონ უკეთეს შედეგებს პროდუქციის გამოშვების დარგში. ინგლისი და ამერიკა კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე. ამიტომ იაპონელმა ხალხმა უნდა დაძაბოს მთელი თავისი ძალები, რათა მტრის განადგურების შედეგად უზრუნველყოს თავისი უშიშროება.

იაპონელთა დიდი საზღვაო გამარჯვება

იაპონიის არმიის მთავარსარდლობიდან მიღებული ცნობების თანახმად, იაპონელთა ავიაციამ ფილიპინების კუნძულებთან კვლავ მიაყენა მოწინააღმდეგის ფლოტს დიდი ზარალი. მტრის დანაკარგი გამოიხატება შემდეგ ციფრებში: ჩაძირულია 8 სატრანსპორტო გემი და 2 კრეისერი, დაზიანებულია 5 სატრანსპორტო ნავი და 1 კრეისერი.

შვეიცარიის პრეზიდენტის სიტყვა

კონფედერაციული შვეიცარიის ახალმა პრეზიდენტმა ფონ შტეიგერმა ახალ წელს წარმოსთქვა სიტყვა შვეიცარიელი ხალხისადმი. მან განაცხადა, რომ შვეიცარიის მტკიცე და არაორაზროვანმა ნეიტრალურმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ეს პოლიტიკა შემდეგში მოითხოვს ყველა შვეიცარიელისაგან მხარი დაუჭიროს მთავრობას და ყოველგვარი საშუალებით დაიცვას იგი.

„V3“ შიში

ამერიკის სამოქალაქო დაცვის განყოფილებამ ვაშინგტონში გამოაქვეყნა მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი, რომელშიც ის სთხოვს მოსახლეობას შეინარჩუნოს მშვიდობიანობა. მიმართვაში აღნიშნულია: მოსალოდნელია ამერიკის ზუზუნისებური ბომბებით დაბომბვა.

განყოფილებამ ამერიკის 48 შტატში დაგზავნა ინსტრუქციები იმ შემთხვევისათვის, თუ მართლაც მოეწყობა ასეთი თავდასხმები.

შვეიცარიული გაზეთი, რომელმაც გამოაქვეყნა აღნიშნული ცნობა, ამ ამბავს იხილავს, როგორც მეტად დამახასიათებელ მოვლენას გერმანელთა შეტევასთან დაკავშირებით დასავლეთის ფრონტზე, რომელმაც მეტად გაამწვავა ამერიკელ მოქალაქეთა ისედაც ნერვიული მდგომარეობა.

გენერალი კესტრინგი სტუმრად მოხალისეთა მზრუნველ ორგანიზაციაში

მოხალისეთა ჯარების გენერალი, კავალერიის გენერალი კესტრინგი, წარსული წლის 8 დეკემბერს ესტუმრა გერმანელ ქალთა ორგანიზაციას, რომელიც ზრუნავს ფრონტზე მყოფი მოხალისეებისა და მათი ოჯახებისათვის. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ქალბატონმა შოლც-კლინკმა აჩვენა გენერალ კესტრინგსა და მის თანამშრომლებს ბინა, სადაც მრავალი ქალი და ქალიშვილი ამზადებდნენ მოხალისეებისათვის საშობაო და საახალწლო საჩუქრებს.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის განკარგულებით მოხალისეები ისევე, როგორც გერმანელი ჯარისკაცები, იღებენ საშობაო საჩუქრებს — წიგნებს, ბროშურებს, პაპიროსებსა და სხვ.

„ჩვენ, გერმანელი ქალები, — სთქვა ქ-მა შოლც-კლინკმა, — მეგობარ ქალებთან — ქართველებთან, რუსებთან, უკრაინელებთან, თათრებთან და სხვებთან ერთად, დიდი სიყვარულით მოვკიდეთ ხელი ამ საქმეს და ვჩქარობდით, რათა საჩუქრების დამზადება მოგვესწრო მართლმადიდებელთა შობამდე. აღმოსავლეთის მუშა-ქალებმაც ხალისით დაიწყეს მუშაობა და დიდ დახმარებასაც გვიწევდნენ. ამით მათ სურდათ მადლობა გადაეხადათ თავიანთი თანამემამულეებისათვის, რომელნიც იბრძვიან ფრონტზე სამშობლოს განსათავისუფლებლად“.

გენერალმა კესტრინგმა მადლობა გადაუხადა ხელმძღვანელსა და ყველა ქალს მათი მუშაობისათვის.

„ეს ერთხელ კიდევ მიგვითითებს, — აღნიშნა მან სხვათაშორის, — მოხალისეთა მჭიდრო კავშირზე მათ ოჯახებთან“.

ასეთივე მტკიცე კავშირით არის შეკრული გერმანიის ფრონტი და ზურგი. მეგობრობის ეს გრძნობა ამაგრებს ფრონტს, ამხნევებს მოხალისეებს, ამტკიცებს რწმენას მათი საქმის სიმართლეში.

ხანგრძლივ საუბარში გენერალმა კესტრინგმა ორგანიზაციის ხელმძღვანელთან განიხილა მოხალისეთა, აღმოსავლეთის მუშებისა და ლტოლვილთა ოჯახების უზრუნველყოფისა და დახმარების საკითხი:

„პირველ რიგში დავეხმარებით მოხალისეთა ბავშვებსა და დედებს“, — განაცხადა ქ-მა შოლც-კლინკმა, — განსაკუთრებით ვიზრუნებთ იმ ბავშვებზე, რომელთა მამებიც იბრძვიან ფრონტზე და აგრეთვე უბინაო ბავშვებზე. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია ომის მეექვსე წელს.

რუსეთის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტთან შეთანხმებით ორგანიზაცია თანდათან მეტ ქალებს მოიზიდავს სამუშაოდ. ქალებისათვის ხომ ყველაზე ძვირფას სამუშაოდ ითვლება დახმარება გაუწიონ გაჭირვებაში მყოფ ხალხს“.

დასავლეთის ფრონტზე წარმოებული შეტევის შედეგები

პარიზის, რეიმსისა და სუასონის საავადმყოფოები აივსო ინგლის-ამერიკელთა დაჭრილი ჯარისკაცებით. მოკავშირეთა უმაღლეს სარდლობას იმედი ჰქონდა, რომ დაჭრილთა ამერიკაში გადასაყვანად მიიღებდა გემებს 350.000 ტონა წყალწყვით, მაგრამ უარი შემოუთვალეს დამხმარე ძალების სასწრაფო გაგზავნის გამო. ამიტომ, დაჭრილთა 80 პროცენტი საფრანგეთში უნდა დარჩეს.

მეტად საგრძნობია აგრეთვე საექიმო პერსონალის ნაკლებობა. ამერიკული წითელი ჯვრის ორგანიზაციას სასწრაფოდ სჭირდება 10.000-მდე მოწყალების და.

მტრის აეროდრომების განადგურება

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ ახალ წელს, დილით, გერმანელთა საბრძოლო, მოიერიშე და გამანადგურებელმა თვითმფრინავებმა ბელგია-ჰოლანდიის მოსაზღვრე რაიონში მიიტანეს ძლიერი იერიში მტრის აეროდრომებზე და მისასვლელ გზებზე. შეტევამ ამერიკელებზე შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. გერმანულმა თვითმფრინავებმა ხუთ ტალღად გადაიფრინეს ინგლის-ამერიკელთა აეროდრომების ზევით და სულ რამოდენიმე წუთში გაანადგურეს მტრის 419 თვითმფრინავი.

ეს თვითმფრინავები წარმოადგენდნენ უმთავრესად ერთ ან ორმოტორიან მანქანებს, რომელნიც დატვირთული იყვნენ ბომბებითა და ბენზინით. გარდა ამისა, ასი თვითმფრინავი იმდენად იქნა დაზიანებული, რომ ისინი დიდხნით გამოვლენ წყობილებიდან.

გერმანიის საჰაერო ძალებმა ერთდროულად იერიში მიიტანეს მტრის მისასვლელ გზებზე. ექვსმა გერმანულმა თვითმფრინავმა გაანადგურა მტრის კოლონა 36 ავტომანქანის შემადგენლობით. ამასთან 20 მათგანს ხანძარი გაუჩნდა.

ამრიგად, 1 იანვარი მტრის ავიაციისა და ტრანსპორტისათვის ჩაითვლება საბედისწერო დღედ. მან დაჰკარგა 600-მდე თვითმფრინავი, 91 ავტომანქანა, 5 ტანკი, 1 საბარგო მატარებელი, რამდენიმე საზენიტო წერტი და სხვ. გარდა ამისა, დაზიანებულია ბევრი ავტომანქანა.

ჩერჩილის მარცხი ათენში

რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ჩერჩილი და იდენი დაბრუნდნენ ლონდონში. მათს მგზავრობას არ მოუტანია არავითარი სერიოზული შედეგი. ამიტომ ინგლისის მთავრობა აღნიშნულ საკითხზე არავითარ ოფიციალურ ცნობას არ გამოაქვეყნებს.

ორივე მხარე რჩება თავის წინანდელ პოზიციებზე. ბერძენ მეამბოხეთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი იბრძოლებენ საბოლოო გამარჯვებამდე „საბერძნეთის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის".

ამავე დროს, მათ წინააღმდეგ მებრძოლი ინგლისელებიც თითქოს „საბერძნეთის დემოკრატიისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის" იომებენ. ეს კომედია, რომლის უდანაშაულო მსხვერპლსაც ბერძენი ხალხი წარმოადგენს, გრძელდება და ჯერჯერობით გამორკვეული არ არის, რით დამთავრდება იგი.

ბრძოლები ათენში კვლავ მიმდინარეობს ბრიტანული ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ქალაქის იმ ნაწილებში, რომლებიც კვლავ აჯანყებულებს უკავიათ. ქუჩის ბრძოლებში მონაწილეობას ღებულობენ ავიაცია და „შერმანის" ტიპის ტანკები. მთავრობის ჯარებმა და ინგლისელებმა აქამდე ტყვედ აიყვანეს 7.500 აჯანყებული.

ქალაქის ბევრი კვარტალი სრულიად დანგრეულია. არ მუშაობს წყალსადენი, გაზისა და ელექტროსადგურები. ბრძოლის რაიონებში დახოცილთ მარხავენ იქვე, ეზოებსა და ბაღებში, ვინაიდან ქალაქში მგზავრობა სრულიად შეფერხებულია.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, საბერძნეთის მეფემ ხელისუფლება გადასცა არქიეპისკოპოს დამასკინოსს. როგორც უკვე ცნობილია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პაპანდრეუ და მისი კაბინეტი გადადგა.

უახლესი ცნობებით, უკანასკნელ ხანებში კრიზისი საბერძნეთში თანდათანობით მწვავდება.

ინგლის-საბჭოთა „მეგობრობის" შესახებ

„მდგომარეობა იტალიასა და საბერძნეთში კვლავ ადასტურებს იმ განხეთქილებას, რომელიც მოხდა ლონდონსა და მოსკოვს შორის ევროპაში საბჭოთა გავლენის გაძლიერებული ზრდის გამო. ინგლისელები მეტად შეშფოთებული არიან საბჭოთა გავლენის ზრდით ქვეყნის სასიცოცხლო არტერიებზე, რომელთაც სუეცის არხისაკენ მიეყავართ. ამ მდგომარეობით შექმნილ ახალ პოლიტიკურ პრობლემებს, თუ ისინი არ იქნებიან გადაწყვეტილი უახლოეს დროში, შეუძლიათ გააჭარწყლონ ინგლისელთა იმედები შექმნან ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობიანობა".

ეს სიტყვები ეკუთვნის „მოკავშირეთა" არა რომელსამე მოწინააღმდეგეს, არამედ აღებულია ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ სუნიდან". ყველაფერი ეს ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ საბჭოთა ჯარები რაც უფრო წინ მიიწევენ ევროპაში, ინგლისელები მით უფრო ნაკლები ნდობით ეკიდებიან ბოლშევიკებს. მსოფლიო რეეოლუციის სახელით სასაკლაოზე გარეკილი რუსი ხალხიც ჩქარა მიხვდება, რომ გერმანიაზე გამარჯვების შემთხვევაშიც, მათ მოელით კიდევ ხანგრძლივი ბრძოლის წლები ეხლანდელ თავის მოკავშირეებთან.

მთაშავეთის მოსახლეობა გაურბის ბოლშევიკებს

სარაევოდან იტყობინებიან, რომ მთაშავეთის (მონტენეგროს) მოსახლეობა, განსაკუთრებით კი მისი ღარიბი ნაწილი, გაურბის ბოლშევიკებს. მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა და ცუდი ამინდებისა, ლტოლვილნი, მთაშავეთის მიტროპოლიტის მეთაურობით, სტოვებენ სამშობლოს. მათ გადასწყვიტეს შეუერთდნენ გერმანელ ჯარებს და თავის ნაციონალურ საზოგადოებათა კავშირებს. ლტოლვილთა მიზანია ბოლშევიკების განადგურება და სამშობლოში ახალი ბედნიერი ცხოვრების შექმნა.

დასავლეთის ფრონტზე გერმანელების მიერ ტყვედაყვანილი ინგლის-ამერიკელი ჯარისკაცები.

ფიურერი აჯილდოებს პოლკოვნიკ რუდელს.

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

დასავლეთის ფრონტზე გერმანული ჯარები განაგრძობენ აქტიობას. მტრის ყოველი ცდა, — თავისი ძალების გადაჯგუფებითა და დამხმარე ნაწილების ომში შეყვანით მიეღწია რაიმე უპირატესობისათვის, უშედეგოდ დამთავრდა. მაგალითად, გენერალი მონტგომერი ამაოდ ცდილობდა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შეეკუმშა გერმანელთა შებრძა და მოემწყვდია გამოსული ძალები მარწუხებში. ლუქსემბურგსა და ელზასში გერმანელები აძლიერებენ თავიანთ აქტიობას. გერმანულმა ნაწილებმა გაანთავისუფლეს 200-მდე დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი ვეისენბურგი და სოშაგრე ბიჩი.

ინგლის-ამერიკელთა ზარალი ზამთრის კამპანიის პირველი სამი კვირის განმავლობაში შეადგენს 1.450 ტანკს, რამდენიმე ასეული ქვემეხს, 24.000-მდე მოკლულს და 50.000-ზე მეტ დაჭრილსა და ტყვეს.

ლუტიხსა და ანტვერპენზე გრძელდება გერმანული შურისძიების ცეცხლი.

იტალიაში მიმდინარეობდა მძიმე თავდაცვითი ბრძოლები მე-8 ამერიკული არმიის წინააღმდეგ. განსაკუთრებით სასტიკ შეტევებს ატარებდა მტერი ფაენცის უბანში, რავენის ჩრდილოეთით ადრიასა და კომაჩიოს ტბას შორის.

ბუდაპეშტთან მამაცმა გერმანულმა ნაწილებმა მოიგერიეს საბჭოთა გაძლიერებული იერიში. პლატენის ტბისა და დუნაის შორის, ქალაქის ჯარებმა სს-ის ნაწილებთან ერთად რამოდენიმე დღის მძიმე ბრძოლების შემდეგ გაარღვიეს საბჭოთა ხაზი და შეიჭრნენ მტრის ზურგში 40 კილომეტრით. განადგურებულია წინადღეებს 136 ტანკი. მდ. გრანიან გრონ-სტეფელდორფამდე და სლოვაკიის საზღვრის ხაზზე გერმანული ნაწილები გმირულ წინააღმდეგობას უწევენ საბჭოთა გაძლიერებულ დაწოლას.

დეკემბერში დასავლეთის ფრონტსა და გერმანიის ტერიტორიაზე მოსპობილია ინგლის-ამერიკელთა 1.379 თვითმფრინავი, მათ რიცხვში 410-მდე ოთხმოტორიანი ბომბდამშენი. იმავე ხნის განმავლობაში გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ჩაძირეს 16 ნაღმმზიდი და სხვა სამხედრო გემი, აგრეთვე სავაჭრო გემები 163.000 ტონა წყალწყვით.

მოსკოვმა იცნო პოლონეთის „დროებითი მთავრობა"

ლონდონიდან მიღებული ცნობების თანახმად, მოსკოვმა იცნო ლუბლინში მოკალათებული პოლონეთის „დროებითი მთავრობა" ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად. ლონდონსა და ვაშინგტონს ჯერ კიდევ არ უთქვამთ უარი ამ მთავრობის ცნობაზე. მაგრამ ჩერჩილი, შარშან ოქტომბერში სტალინისათვის მიცემული პირობის საფუძველზე, იძულებული იყო ოფიციალურად მიეღო ლონდონში ლუბლინის წარმომადგენელი. „დროებითი მთავრობის" წარმომადგენლის პირველი ნაბიჯი ამ შეხვედრისას იყო ის, რომ მან თავისი მთავრობის სახელით უარი განაცხადა ყველა იმ ვალდებულებაზე, რომელიც წამოყენებული იყო ლონდონსა და პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობას შორის. როგორც ცნობილია, თავისდროზე, ინგლისმა, მისცა ემიგრანტულ მთავრობას სესხი 130 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

ამასთანავე იტყობინებიან, რომ პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის მეთაურებს ლონდონში — რაცკიევიჩს, მიკოლაიჩიკსა და არციშევსკის „დროებითმა მთავრობამ" ჩამოართვა პოლონეთის ქვეშევრდომობა.

ამერიკაში მცხოვრები პოლონელები სცნობენ მხოლოდ ემიგრანტულ მთავრობას.

პროტექტორატში სრული სიმშვიდეა

ჩეხოსლოვაკიის განათლების მინისტრმა თავის სახალხო სიტყვაში აღნიშნა, რომ პროტექტორატში სუფევს სრული სიმშვიდე და ნაციონალური ერთსულოვნება. ამრიგად, ჩეხოსლოვაკიის ემიგრანტული მთავრობის მეთაურის ბენეშის ყოველგვარი ლაპარაკი ამგვარად ყალბია და უსაფუძვლო. ბოჰემია და მორავია მხარს დაუჭერენ გერმანიას ბოლშევიზმისა და დასავლეთის დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან დიდი გერმანია ჩეხ ხალხს აძლევს ბედნიერი მომავლის სრულ გარანტიას.

„V2"

ინგლისის საინფორმაციო ბიურო შემდეგნაირად აღწერს გერმანულ შურისძიების იარაღს — „V2".

„V2" წარმოადგენს გიგანტურ შუშხუნას, რომლის სიგრძე 9 მეტრს, ხოლო დიამეტრი 1 მეტრს უდრის. მისი წონა აღწევს 14—15 ტონას. შუშხუნას აქვს ყუმბარის ფორმა და წონასწორობის დასაცავად შეიარაღებულია 4 ფრთით.

„V2" მოძრაობაში მოჰყავს ტურბინების რთულ სისტემას და მიჰქრის ატმოსფეროს ზევით. მისი დაწვრილებითი შესწავლა, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ჯერკიდევ ვერ მოხერხდა.

იტყობინებიან, რომ „V2" სისწრაფე უდრის დაახლოვებით 5.000 კილომეტრს საათში დედამიწიდან 100 კილომეტრის სიმაღლეზე. ინგლისური ცნობებით, მისი მოქმედების რაიონი აღწევს 380 კილომეტრს.

ამ გიგანტური შუშხუნის ფრენა სტრატოსფეროში, სისწრაფით რომელიც ხმის გავრცელების სიჩქარეს აღემატება, სამეცნიერო საკითხებად რჩება ყველასათვის. მის ამოსახსნელად მუშაობენ მოკავშირეთა ყველაზე საუკეთესო სპეციალისტები. ყოველ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით „V2" საწინააღმდეგო არავითარი საშუალება არ არის გამონახული.

გერმანული საინფორმაციო ორგანოები არაფერს ამბობენ ამ ინგლისურ ცნობებზე, მხოლოდ დამატებით აცხადებენ, რომ „V2" დამზადება გრძელდება დიდი რაოდენობით იმ წარმოებებში, რომელნიც მტრის ავიაციისათვის მიუწვდომელი არიან. დიდიხანია უკვე ცნობილი იყო მეათასე ყუმბარის გამოშვების შესახებ. „V2" ყუმბარების რიცხვი თანდათან იზრდება და უახლოეს მომავალში მტრის სამხედრო ობიექტები აღმოჩნდებიან ამ იარაღის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ.

სამხედრო მდგომარეობა სალვადორში

ბუენოს - აირესიდან იტყობინებიან, რომ ელ სალვადორში ხელახლა იფეთქა აჯანყებებმა. აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს სან კარლოსის ყაზარმებზე, ხელთ იგდეს იარაღი და გაემართნენ კავშირგაბმულობის სამართველოსაკენ.

მთავრობის ჯარები იარაღით ხელში ებრძვიან აჯანყებულებს. საფრანგეთისა და პერუს საელჩოებში დაპატიმრებულია მრავალი პოლიტიკური ლტოლვილი, მათ შორის სახელმწიფო ბანკის დირექტორი კარლოს ფილესი.

სალვადორში დაიწყო გენერალური გაფიცვა. მთავრობამ გამოაცხადა სამხედრო მდგომარეობა და დანიშნა მინისტრთა საგანგებო სხდომა.

თვითონ სალვადორიდან ოფიციალური ცნობები მდგომარეობის შესახებ მიღებული არ არის.

კაპიტანი გივი გაბლიანი დასავლეთში

ქართული შტაბის წევრი და სამხედრო განყოფილების უფროსი კაპიტანი გივი გაბლიანი 1944 წ. დეკემბრის შუა რიცხვებში გაემგზავრა დასავლეთში თამარ მეფის სახელობის ქართული საველე ათასეულის დასათვალიერებლად, რომელიც წელიწადნახევარზე მეტია ატლანტიკის სანაპიროზე მეტად საპასუხისმგებლო სამსახურს ასრულებს.

კაპიტანი გ. გაბლიანი ეწვია ბეტონის სიმაგრეებში ქართველ ოფიცრებს, უნტეროფიცრებსა და მოხალისეებს, მიულოცა მათ ქრისტეს შობის დღესასწაული და ახალი წელი, კიდევ მეტი წარმატებები უსურვა ბრძოლასა და მუშაობაში. შემდეგ, ერთად თავმოყრილ მოხალისეებს მოახსენება გაუკეთა საერთაშორისო, სამხედრო და პოლიტიკურ მდგომარეობაზე, აგრეთვე წმინდა ქართულ საკითხებზე და ჩვენი ნაწილების პერსპექტივებზე. ერთი წლის განმავლობაში დაულალავი მუშაობით მოპოვებულ მიღწევათა შორის, მომხსენებელმა აღნიშნა და მიულოცა მოხალისეებს ახალი ქართული ლეგიონისა და საველე ათასეულების ჩამოყალიბება ქართული ხელმძღვანელობით.

კაპიტანმა გაბლიანმა დაუხატა მოხალისეებს სამშობლოსათვის მებრძოლი ქართველი ჯარისკაცის სახე: იგი უნდა იდგეს მაღალ მორალურ საფეხურზე, იყოს შეგნებული, პატიოსანი და რაინდი, რადგან ქართველებთან ურთიერთობაში მყოფი ევროპელი ხალხები მისი სახით მთელს ქართველ ერს აფასებენ.

თამარ მეფის სახელობის ათასეულმა კაპიტან გ. გაბლიანზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა როგორც დისციპლინის, ისე სამხედრო და პოლიტიკური მომზადების მხრივ. საზეიმოდ გამართულ საღამოზე მან შემდეგი სიტყვით მიმართა ქართული ათასეულის მოხალისეებსა და გერმანულ პერსონალს:

„ქართული შტაბის ამოცანას შეადგენს ქართველთა და გერმანელთა შორის პოლიტიკური მუშაობის ჯანსაღ ნიადაგზე დაყენება, რისთვისაც ქართული ნაწილები უფრო მეტად მტკიცენი და საიმედონი უნდა იყვნენ, ამისთვის საჭიროა ქართველ მებრძოლებს და გერმანულ პერსონალს შორის უფრო მჭიდრო მეგობრული თანამშრომლობა არსებობდეს. იმ ნაწილებმა, სადაც ეს საკითხი სათანადო სიმაღლეზე იდგა, საუკეთესოდ ისახელეს თავი ბრძოლებში.

ჩვენი მოხალისეთა ნაწილების განვითარებამ მეტად მძიმე და ძნელი გზა განვლო. სიძნელეები დღესაც მოიპოვება. გერმანულ პერსონალსაც ცოტა სიძნელე როდი აქვს გადასალახავი. გარდა სამხედრო მუშაობისა, მათ აქვთ მეორე საპასუხისმგებლო ამოცანა გადასაჭრელი. ისინი არიან გერმანელი ერის წარმომადგენლები ქართველი ერის წარმომადგენელთა შორის. ადგილობრივ მდებარეობა, ენის უცოდინარობა და კიდევ მთელი რიგი სპეციფიკური საკითხებისა, აძნელებენ მუშაობასა და კონტაქტს. თქვენ არასდროს არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ქართველი მოხალისე მოწყვეტილია სამშობლოს, წერილობითი კავშირიც კი არა აქვს მშობლებთან და ამგვარად იგი უფრო ძნელ პირობებში იმყოფება, ვიდრე შედარებით თქვენ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ომი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება, მაგრამ, რომ კიდევ ვაგებდეთ მას, მაინც უნდა ვიმუშაოთ უკანასკნელ წუთამდე. რადგან ჩვენ ვმუშაობთ და ვიბრძვით არამარტო დღევანდელი დღისათვის, არამედ მომავალი თაობისათვის, — ისტორიისათვის. შემდეგი გერმანელი და ქართველი თაობები ისეთივე ნდობითა და მეგობრობით უნდა მივიდნენ ერთმანეთთან, როგორც ჩვენ.

1918 წელს საქართველოში მოვიდა გენერალი ფონ კრესენშტაინი, როგორც გერმანელი ერის წარმომადგენელი. იგი დაეხმარა ქართველებს და დასთესა ტრადიციული მეგობრობა ქართველებსა და გერმანელებს შორის. ამის გამოა, რომ დღეს ათასობით ქართველები ისეთივე ნდობით მოვიდნენ გერმანელებთან. ჩვენი საქციელით ეს ტრადიციული მეგობრობა უფრო უნდა გავაძლიეროთ და შემდეგი თაობებისათვის ხიდად გავრცელდეს..."

1945 წლის 1 იანვრისათვის კაპიტანი გივი გაბლიანი კვლავ ბერლინში დაბრუნდა.

კავკასიის ერების ნებასურვილი

ა. კანტემირი

ჩრდილო-კავკასიის ეროვნული კომიტეტის წევრი.

კავკასიის ერებმა, რომელნიც უკვე ათეულ საუკუნეების მანძილზე ბინადრობენ ერთმანეთის გვერდით, მიუხედავად სარწმუნოებრივი და ენობრივი განსხვავებებისა, გამოიმუშავეს საერთო ტრადიციები, კულტურული და სამეურნეო ჩვევები, ცხოვრების წესი და ხასიათი. ისინი, ასე ვთქვათ, დაუნათესავდნენ ერთმანეთს. ეს თვისებები და სასიცოცხლო ინტერესები, რომელნიც ღრმად არიან წასული კავკასიურ ნიადაგში, წარმოადგენენ კავკასიელების განმასხვავებელ ნიშნებს დანარჩენი სამყაროსაგან.

უცხო თავდასხმებმა და ისტორიის მწარე გამოცდილებამ ასწავლეს კავკასიის ერებს თავისი ძალების გაერთიანება საერთო მტრის მოსაგერიებლად. საშიშროების მომენტებში, როდესაც მტერი საფრთხეს უქადდა მათს საერთო სამშობლოს, ისინი ივიწყებდნენ იმ შინაგან უთანხმოებებსა და სადავო საკითხებს, რომლითაც სავსეა ყოველი ხალხის ფეოდალური ისტორია. კავშირები და შეთანხმებები, რომლებიც არაერთხელ გაერთიანებულან საერთო თავდაცვისათვის საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილო-კავკასიის ერები თავისი მეთაურების სახით, ჩაითვლებიან უბედნიერეს მომენტებად მათ ისტორიულ წარსულში. ეს შეთანხმებები, უეჭველია, ბოლოსდაბოლოს, მიიყვანდა კავკასიის ერებს რაიმე სახის სახელმწიფოებრივ გაერთიანებამდე, ერთიანული განვითარების ბუნებრივი პროცესი რომ არ შეეჩერებინა რუსეთის იმპერიალიზმის შემოჭრას კავკასიის ფარგლებში.

მას შემდეგ, რაც ეკატერინე მეორის ჯარებმა გადმოლახეს ჩრდილო-კავკასიის საზღვრები, რომლის ხელშეუხებლობა და დამოუკიდებლობა ცნობილი იყო ბელგრადის ტრაქტატით რუსეთისა და თურქეთს შორის (1739 წ.), მას შემდეგ, რაც ალექსანდრე პირველმა მოაწყო საქართველოს ანექსია (1801 წ.), დაიწყო კავკასიის ერების ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც სხვადასხვა ინტერვალებით დღემდე გრძელდება.

არავითარ სახელმწიფოებრივ თუ რევოლუციურ გადატრიალებებს მოსკოვსა და პეტროგრადში, არავითარ ცვლილებებს რუსეთის მართველობის რეჟიმში არ მოუხდენია გავლენა პეტრე პირველის დაპყრობითი იდეებით გაჟღენთილი რუსული იმპერიალიზმის მტაცებლურ ბუნებაზე.

ამასთან ერთად, არაფერს არ შეეძლო შეერყია და დაემსხვრია რუსული იმპერიალიზმთან ტრადიციულ ბრძოლაში გამოწრთობილი კავკასიის ერების ნებისყოფა და ხასიათი, მიუხედავად იმისა თუ რა ფორმებს იღებდა ეს იმპერიალიზმი.

კავკასიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სამოცწლიანი გმირული ეპოქა სავსეა ამაღლვებელი ფურცლებით, რომლებიც საუკეთესოდ ადასტურებენ კავკასიის ერების შეურყეველ ნებისყოფას ჩრდილოეთის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლის გმირების — მანსურის, შამილის, ჯავათხანის, ალექსანდრე ბატონიშვილისა და სხვათა სახელები საუკუნოდ შეიმოსნენ უკვდავი დიდებით და ხალხის მეხსიერებაში სცოცხლობენ ეხლაც, როგორც კავკასიის ისტორიის შემქმნელნი. ისინი მლაფრთოვანებდნენ შემდგომ თაობებს ცარიზმთან ბრძოლაში და დღემდე წარმოადგენენ რევოლუციური ენერგიისა და წითელ დამპყრობელთა წინააღმდეგ შეიარაღებული პროტესტის დაუშრეტელ წყაროს.

1918 წელს, ცარიზმის განადგურების შემდეგ შექმნილ კავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკებს, რომელნიც იცნო გერმანიამ და სხვა სახელმწიფოებმა, მათ რიცხვში თვით საბჭოთა ხელისუფლებამაც, საერთაშორისო კანონების მიუხედავად, ვერაგულად დაესხა თავს წითელი არმია. სასტიკი შეტაკებების შემდეგ კრემლის დიქტატურამ დაიმონა კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ერები. მას შემდეგ ისინი აწარმოებენ თავგანწირულ ბრძოლას წითელ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

საბჭოთა რეჟიმის ქვეშ მებრძოლმა კავკასიის ერებმა, ამ პირობებში უფრო მეტი სიცხადით შეიგნეს თავისი ინტერესების ერთიანობა. ისინი ერთად გამოდიოდნენ მრავალი შეიარაღებული აჯანყებებით ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამასთან, აზერბაიჯანელი მოლა ხშირად აღაფრთოვანებდა სომეხ რევოლუციონერებს, ხოლო სომეხი მღვდელი აზერბაიჯანელსა და სომხურ რაზმებს უდგებოდა სათავეში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილობრივი ნაციონალური ინტერესები ამ შემთხვევაში შედუღდნენ კავკასიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ ძლიერ მთელში.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებიდან, კავკასიელები გერმანიის მხარეზე ათეული ათასობით გადმოვიდნენ, რითაც განსაზღვრეს თავისი პოზიცია ამ ომის მიმართ. შეებრუნნენ რა იარაღი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, მოხალისეთა ნაციონალურ ლეგიონებში გაერთიანებულმა კავკასიელებმა დაამტკიცეს თავისი ერთგულება ნაციონალური იდეებისა და საერთო ამოცანებისადმი, რომელიც გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინაშე სდგას. კავკასიელ მოხალისეთა კონგრესებსა და სხვა კრებებზე ნაციონალური იდეა ყოველთვის მტკიცდებოდა, როგორც ჩვენი ბრძოლის ძირითადი სტიმული. ეს იდეა მეფობს თვითეული კავკასიელი მოხალისის, მუშისა და ლტოლვილის გულში. ისინი აღსავსენი არიან ღრმა რწმენით, რომ თვითგამორკვევის იდეა, რომელიც სტალინის კონსტიტუციაში შეტანილია, როგორც სიცრუით, ვერაგობითა და ცინიზმით სავსე უსულგულო პარაგრაფი, გადაიქცა უსირცხვილო თამაშად დამონებული ერების ნაციონალურ გრძნობებზე. ამიტომ, კავკასიელი მოხალისენი, დღეს, საკუთარი ხელით, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ველზე თვითონვე სწყვეტენ თავისი სამშობლოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხს.

ეხლა, როდესაც ამ ომში სწყდება ხალხის ბედი, როდესაც სასტიკ ბრძოლებში მჩქეფარე ნაკადივით იღვრება ჩვენი მოხალისეთა სისხლი, ხოლო ხალხი იტანჯება საბჭოთა სიდუხჭირის მარწუხებში, ჩვენი ნაციონალური იდეები და დებულებები უნდა ხასიათდებოდნენ განსაკუთრებული სიზუსტითა და სიცხადით: ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ომში მონაწილეობის საკითხში არ უნდა იყოს არავითარი ბუნდოვანება და გაუგებრობა. ჟურნალ „ჩრდილო-კავკასიაში", 1943 წლის სექტემბერში, ჩვენი ამოცანები შემდეგნაირად იქნენ ჩამოყალიბებული ჩვენს მიერ:

„ჩვენ მივისწრაფით ჩრდილო-კავკასიის დამოუკიდებლობისაკენ, მაგრამ იგი მეტად არამყარი იქნებოდა კავკასიის პრობლემის მთელი მასშტაბით გადაწყვეტის გარეშე. კავკასია ჩვენთვის არამარტო გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკური ცნებაც არის. კავკასიის ერებს ჩვენ ვხედავთ, როგორც ერთმანეთთან განუყრელად დაკავშირებულ ხალხებს. მათ ერთი პოლიტიკური ხვედრი აქვთ. საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ჩრდილო-კავკასია თავისი ბედით მოწოდებული არიან ერთიანი ცხოვრებისა და აღმშენებლობისაკენ".

დღეს ჩვენ კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკასიელები მოქმედებენ ერთმანეთთან სრული სოლიდარობით და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს კიდეც. როგორც სჩანს, ჩვენი ეროვნული კომიტეტის ცნობიდან, კავკასიელები, „გააერთიანეს რა მთელი თავისი ძალები ყველა საკითხში", ამ ომში გამოდიან, როგორც ერთი მთელი. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკავშირო შტაბები და ჩრდილო-კავკასიის ნაციონალური კომიტეტი მუშაობენ სრული თანხმობით, მეგობრულად და სავსებით ერთსულოვანნი არიან საკითხებში, რომელიც კავკასიის ინტერესებს ეხება.

კავკასიური ორგანიზაციების მეორე კომუნიკე, რომელიც გენერალი ვლასოვის მანიფესტთან დაკავშირებით გამოქვეყნდა, ზემომოყვანილ დებულებათა დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს. ამასთან ერთად მან შეაჯამა სიცხადე ჩვენს ბრძოლაში ბოლშევიკების წინააღმდეგ და აგრეთვე რუსეთ-კავკასიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში.

გენერალი ვლასოვის მანიფესტი ძირითადად უარყოფს ბოლშევიზმს და უცხადებს მას გადამწყვეტ ბრძოლას, გარდა ამისა, მანიფესტი აღიარებს ერების "თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის" უფლებას და მოუწოდებს ყველას ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1918 წლის მაისში ჩვენ გამოვაცხადეთ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ამ იდეისათვის ვიმყოფებით ჩვენ მუდმივად პერმანენტული ბრძოლის მდგომარეობაში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც იგი მხოლოდ ქაღალდზე იცნო, ხოლო პრაქტიკაში უარყო. ამრიგად, თეორიასა და დეკლარაციებში ყველაფერი წესრიგზეა.

საკითხს პრაქტიკულად თუ მივუდგებით, უნდა აღინიშნოს, რომ გენერალი ვლასოვის მუშაობას, რომელსაც მხედველობაში აქვს რუსული ძალების გაერთიანება და არ ვრცელდება კავკასიურ ორგანიზაციებზე და რომელიც იცნო გერმანიის მთავრობამ, — ჩვენ ვესალმებით, როგორც სასიხარულო მოვლენას. იგი აძლიერებს ანტიბოლშევიკური ფრონტის ძალებს. გერმანიის ხელმძღვანელობის ქვეშ მებრძოლი გენერალი ვლასოვის, კავკასიელთა, თურქესტანელთა და სხვა ერების მოხალისეები, რომელთაც სავსებით შეგნებული აქვთ თავის საბოლოო ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელება, ამ ომში წარმოადგენენ სასტიკ ძალას. იგი სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს სტალინურ დიქტატურას, რომელიც ემუქრება ჩვენი ერების ფიზიკურ არსებობასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ბოლშევიზმის ლიკვიდაციითა და კავკასია-რუსეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით შევძლებთ უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ბედნიერი მომავალი, რომელნიც ამჟამად გმინავენ გაუგონარი ტირანის უღელქვეშ.



გერმანული წყალქვეშა ნავები ხასაკან არ აძლევენ მტრის ტრანსპორტს.

საჰაერო განგაშის შესახებ

ბერლინის პოლიციის პრეზიდენტი იტყობინება, რომ მოსალოდნელი საჰაერო საფრთხის ნიშანი (Oeffentliche Luftwarnung) წარმოებს მეორე განგაშის და აღინიშნება საყვირის სამჯერ გაგრძელებული დაყვირებით. საჰაერო განგაში კი, პირიქით, მოსახლეობას ეცნობება მოკლე და ხშირი დაყვირებით. ორივე შემთხვევაში მოსალოდნელია მტრის თვითმფრინავების მიერ ბომბების ჩამოყრა. განგაშის არავითარი წინასწარი ნიშანი (Voralarm) არ არსებობს.

მოხალისეთა ფულადი უზრუნველყოფა

სახმელეთო ძალების უმაღლესმა სარდლობამ „არმიისადმი განკარგულებების უწყებებში" (ნაწილი B, ფურცელი 15), 1944 წლის 17 ივლისს გამოაქვეყნა წესები აღმოსავლეთის მოხალისეთა ფულადი და ნივთიერი უზრუნველყოფის შესახებ.

ვბეჭდავთ აღნიშნულ წესებს, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ თითოეული მოხალისისათვის.

სახმელეთო ძალების უმაღლესი სარდლობის განკარგულებანი

292. წესები აღმოსავლეთის მოხალისეთა ფულადი და ნივთიერი უზრუნველყოფისა და ავადმყოფ და დაჭრილ მოხალისეთა მოვლა-პატრონობის შესახებ.

ა. ვისზე ვრცელდება ეს განკარგულება

ქვემოთმოყვანილი წესები ვრცელდება:

1. მოხალისეებზე აღმოსავლეთი ოლქებიდან, რომელნიც მსახურობენ ნაციონალურ ნაწილებში.
2. მოხალისეებზე აღმოსავლეთი ოლქებიდან, რომელნიც მსახურობენ გერმანულ ნაწილებში (მოხალისეთა დამხმარე ძალები).

ბ. ფულადი უზრუნველყოფა

1. ხელფასი.

1. მოხალისეები ღებულობენ ხელფასს შემდეგი ჯგუფების მიხედვით:

ხარისხი	თანრიგი ხელფასის
მოხალისე, უფროსი მსროლელი (უფროსი მებარგული, უფროსი მეჭურვე და ა. შ.)	16
ეფრეიტორი, უფროსი ეფრეიტორი	15
უნტეროფიცერი	14
ფელდფებელი	12
უფრ. ფელდფებელი, უფრ. ვახმისტრი	11
ლეიტენანტი, სამხედრო ექიმი, სამხედრო ვეტექიმი	10
უფრ. ლეიტენანტი, უფროსი ექიმი, უფრ. ვეტექიმი	9
კაპიტანი, შტაბსექიმი, შტაბსვეტექიმი	8
მაიორი, უფროსი შტაბსექიმი, უფრ. შტაბსვეტექიმი	7
პოდპოლკოვნიკი	6
პოლკოვნიკი	5
გენერალ-მაიორი	4
გენერალ-ლეიტენანტი	3
გენერალი	2

2. მოხალისენი, რომელნიც იღებენ ხელფასს მე-16 თანრიგით, 2 წლის შემდეგ დღიდან ფიცის მიღებისა, ღებულობენ ხელფასს მე-15 თანრიგით.

3. გერმანული ნაწილების მოხალისეები (დამხმარე ძალები), როგორც წესი, იღებენ ხელფასს მე-16 თანრიგით. გერმანული არმიის ხარისხის მინიჭების შემდეგ ისინი ღებულობენ ხელფასს იმ თანრიგით, რომელიც შეეფარდება მიღებულ ხარისხს.

გერმანულ ნაწილებში მყოფ მოხალისეებს (დამხმარე ძალები), რომელთაც უფროსი ეფრეიტორის ხარისხი აქვთ და საპასუხისმგებლო თანამდებობას ასრულებენ, ერთი წლის შემდეგ შეუძლიათ მიიღონ ხელფასი მე-14 თანრიგით. ამის წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მათ შეუძლიათ სამსახურში შეცვალონ გერმანელი უნტეროფიცერი და ამით გაათავისუფლონ იგი ფრონტისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც გერმანულ ნაწილებში მყოფ მოხალისეებს (დამხმარე ძალები) არა აქვთ ეფრეიტორის ან უფროსი ეფრეიტორის ხარისხი და უკვე იღებენ ხელფასს მე-14 ან მე-15 თანრიგით (ამ განკარგულების გამოცემამდე მე-2 ან მე-3 თანრიგით), მაშინ მათ მომავალშიც ენახებათ ეს ხელფასი.

2. სამხედრო ჯამაგირი

1. ყველა მოხალისე, უფროსი ეფრეიტორიდან დაწყებული, რომელიც, თანახმად ამ განკარგულების III განყოფილებისა, იღებს დახმარებას ნათესავებისა და ოჯახებისათვის, სათანადო განცხადების შეტანის შემდეგ მიიღებს ჯამაგირს შემდეგი წესის მიხედვით.

2. ომიანობის დროს თვიური ხელფასის რაოდენობა:

ხარისხი	გერმანულ მარკებით უცოლო	გერმანულ მარკებით ცოლიანი
უფროსი ეფრეიტორი	75	105
უნტეროფიცერი	105	145
ფელდფებელი, ვახმისტრი	140	205
უფრ. ფელდფებელი, უფრ. ვახმისტრი	145	210
ლეიტენანტი, სამხედრო ექიმი, სამხედრო ვეტექიმი	210	270
უფროსი ლეიტენანტი, უფრ. ექიმი, უფროსი ვეტექიმი	230	290
კაპიტანი, შტაბსექიმი, შტაბს ვეტექიმი	340	430
მაიორი, უფროსი შტაბსექიმი, უფრ. შტაბსვეტექიმი	400	520
პოდპოლკოვნიკი	490	630
პოლკოვნიკი	620	800
გენერალ-მაიორი	760	990
გენერალ-ლეიტენანტი	900	1.170
გენერალი	1.110	1.450

3. დამატება ბავშვებისათვის. თითოეულ ბავშვზე (16 წლამდე, ჩათვლით), ყოველთვიურად დამატებით ეძლევათ 18 მარკა.

4. სამხედრო ჯამაგირის სხვა ქვეყნებში (გერმანიის საზღვრებს გარეთ) გაცემის დროს, გაანგარიშება ხდება თანახმად მე-2 და მე-3 მუხლისა, სათანადო სახელმწიფოს ვალუტის ოფიციალური კურსის მიხედვით.

5. სამხედრო ჯამაგირიდან არავითარი დაქვითვა არ სწარმოებს. ზემოთმოყვანილი თანხა გაცემული უნდა იქნას ხელზე.

6. სამხედრო ჯამაგირი, ბავშვებზე დამატების ჩათვლით, მიეცემა მოხალისეს იმ თვის პირველი რიცხვიდან, როდესაც იგი ჩაირიცხა სამხედრო სამსახურში; იმ მოხალისეებს, რომელნიც არ მიეკუთვნებიან ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის გენერალურ ოლქებს, მიეცემათ მხოლოდ 1944 წლის 1 მაისიდან: ჯამაგირისა და დამატების გაცემა სწყდება თვის უკანასკნელი დღიდან მიუხედავად იმისა, რომელ რიცხვშია მოხალისე განთავისუფლებული სამუშაოდან.

7. მოხალისეები (მათ რიცხვში მოხალისეთა დამხმარე ძალებიც), რომელნიც რაიმე მიზეზის გამო არ იღებენ ჯამაგირს ზემოთმოყვანილი წესების საფუძველზე და ღებულობენ ხელფასს წინათ მოქმედი წესების მიხედვით, აგრეთვე მოხალისეები, რომელთა სამხედრო ჯამაგირი მეტია ამ განკარგულებით გათვალისწინებულ თანხაზე, — მიიღებენ ხელფასს იმავე რაოდენობით, როგორც წინათ, მანამდე, სანამ მათ არ მიეცემათ ის სამხედრო ხარისხი, რომელსაც ეკუთვნის უფრო მეტი ჯამაგირი.

8. განსაკუთრებული შემთხვევების დროს (ავადმყოფობა, სახელი თავისუფლების აღკვეთით, დეზერტირობა და სხვ.), აუცილებელი საჭიროა იხელმძღვანელონ E. W. G. G. (Einsatz - Wehrmachts - Gebührnis - Gesetz - ფულადი ანგარიშსწორების კანონი სამხედრო უწყების მოსამსახურეებთან, ომიანობის პირობებში მათ მიერ სასამსახურო მოვალეობის შესრულების დროს) წესებითა და ფულადი უზრუნველყოფის კანონით, აგრეთვე ყველა აქამდე გამოცემული განმარტებებითა და დამატებითი განკარგულებებით.

9. თავისი ოჯახური მდგომარეობა (უცოლო, ცოლიანი, ქვრივი, გაყრილი) და აგრეთვე ბავშვების რაოდენობა, რომლებზედაც ვრცელდება დახმარების გაცემის წესი, მოხალისემ უნდა დაამტკიცოს სათანადო ოფიციალური საბუთებით ან ორი მოწმის ხელმოწერით, რომელნიც აწერენ ხელს ფიცის ქვეშ. ეს განსაკუთრებით ეხებათ იმ მოხალისეებს, რომელთა ოჯახებიც სცხოვრობენ მტრის მიერ დაკავებულ ოლქებში. დოკუმენტები დაკითხვის ფურცელთან ერთად უნდა დაერთოს განცხადებას სამხედრო ჯამაგირის გაცემის შესახებ (§ 10).

უცოლო მოხალისეთა შეამდგომლობა ნათესავებისათვის ფულადი დახმარების შესახებ, რომელნიც კანონის ან მორალის წესების საფუძველზე იმყოფებიან მათ კმაყოფაზე ან სცხოვრობენ მათთან, აგრეთვე შუამდგომლობა უშვილო ქვრივებისა და ცოლგაყრილებისა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაკმაყოფილდეს ოჯახიანთა თანრიგის მიხედვით. ყველა ისინი იღებენ ჯამაგირს უცოლოთა თანრიგით.

ცოლგაყრილები და ქვრივები, რომელთაც ბავშვები ჰყავთ, იღებენ ჯამაგირს ცოლიანთა თანრიგის მიხედვით.

10. განცხადება სამხედრო ჯამაგირის მიღების შესახებ უნდა გადაეცეს სამხედრო ნაწილის მოლარეს ორ ცალად დაკითხვის ფურცელთან ერთად.

მიღებული დოკუმენტები ზედმიწევნით უნდა იქნას შემოწმებული საფინანსო ნაწილში, შეივსოს დამატებით ყველა აუცილებელი ცნობებით და მთელი მასალა გადაეცეს აღმოსავლეთის მოხალისეთა ხაზინის საფინანსო-სააღრიცხვო განყოფილებას (Gebührnisstelle für Freiwillige aus dem Osten in Stahnsdorf b. Berlin). მოხალისეებს, რომელნიც ნაციონალურ ნაწილებში მსახურობენ, განცხადებისათვის დაკითხვის ფურცლები შეუძლიათ მიიღონ თავისი ნაწილის კანცელარიაში. ნაწილები სათანადო ფორმულარებით მარაგდებიან აღმოსავლეთის მოხალისეთა გენერლის სამართველოს მიერ. იმ მოხალისეებისათვის კი, რომელნიც გერმანულ ნაწილებში მსახურობენ, დაკითხვის ფურცლები უნდა გამოთხოვილ იქნას მოხალისეთა ხაზინის საფინანსო-სააღრიცხვო განყოფილებიდან.

არაგერმანელ მოხალისეთა კმაყოფის შესახებ

შრომის სახელმწიფო სამინისტროს 1944 წლის 10 ნოემბრის განკარგულებით მოწესრიგებულია არაგერმანელ მოხალისეთა ფულადი და ნივთიერი უზრუნველყოფის საქმე. განსაზღვრულია აგრეთვე კმაყოფაზე მყოფი პირების უზრუნველყოფა მოხალისეთა სიკვდილის შემდეგ.

ამასთან დაკავშირებით დადგენილია, რომ:

1. არაგერმანული წარმოშობის მოხალისენი, რომელნიც მსახურობენ გერმანულ არმიაში ან ტოდტორგანიზაციაში (აღმოსავლეთის დაკავებულ ტერიტორიაზე);
2. არაგერმანელი სამოქალაქო პირები, რომელნიც მსახურობენ ფრონტის ნაწილებში, როგორც დამხმარე პერსონალი;
3. არაგერმანელი მოწყალების დები, რომელნიც მსახურობენ გერმანულ არმიაში და
4. კმაყოფაზე მყოფნი, რომელნიც რიგებიან ზემომოყვანილი პირების სიკვდილის შემდეგ (სამსახურებრივი მოვალეობის ასრულების დროს მიღებული დაშავების გამო), ისევე იქნებიან უზრუნველყოფილი და აყვანილი მფარველობის ქვეშ, როგორც გერმანელი სამხედრო მსახურნი ან მათი სიკვდილის შემდეგ კმაყოფაზე მყოფი პირები, არსებული გერმანული კანონების საფუძველზე.

მფარველობის ქვეშ აყვანა ნიშნავს: სამუშაოზე მოწყობას, საექიმო დახმარებას, პროტეზებით მომარაგებას, სწავლება-გადამზადებას, დაზღვევას ავადმყოფობისა და ინვალიდობის შემთხვევაში და ა. შ.

უზრუნველყოფა გულისხმობს, უმთავრესად, ყოველთვიურ დახმარებას ინვალიდებისა და მათ კმაყოფაზე მყოფი პირების მიმართ.

ქართველი ლეიტენანტი მოუთხრობს მოხალისეებს „ტანკის მუშტის" შესახებ.

ვინ არიან აღმოსავლეთის მოხალისენი

გერმანული გაზეთი „ანგრიფი" ათავსებს საინტერესო წერილს აღმოსავლეთის მოხალისეთა შესახებ, რომელშიც მოცემულია საბჭოთა კავშირიდან მოსული ყველა მებრძოლი ძალის ლირსეული შეფასება. „როდესაც 1939 წლის სექტემბერში, — სწერს ხსენებული გაზეთი, — დაიწყო ჩვენი დროის უდიდესი ბრძოლა, გერმანული არმია თვითონ, მეტადრე მზარისდაპყრობის გარეშე, ჩაება გადამწყვეტ ომში. გერმანელ ჯარისკაცთა რიგებში სულ უფრო მზარდი რაოდენობით მოდიოდნენ მოკავშირენი ევროპის კონტინენტიდან. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოკავშირეთაგან ზოგიერთნი, მათი უხასიათო მთავრობების ღალატის შედეგად, ბრძოლიდან გავიდნენ, მათს ადგილას გერმანიამ მიიღო დახმარება აღმოსავლეთის მოხალისეთა მხრიდან.

უმაღლესი სარდლობის ცნობებში არაერთხელ ყოფილა აღნიშნული მოხალისეთა სიმამაცის შესახებ. ერთერთმა ამ ცნობათაგანმა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ნაზიონალური აზრის ფართო წრეებში. 1944 წლის 30 სექტემბერს გერმანულ რადიოში წაკითხულ იქნა შემდეგი შინაარსის ტექსტი:

„ვარშავის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობას იღებდნენ, სს-ისა და პოლიციის განსაკუთრებული ნაწილების გვერდით, მოხალისეთა შენაერთების რაზმებიც. სს-ის აღმოსავლურ-მუსულმანური პოლკისა და აზერბაიჯანელთა I11 პოლკის ორი ათასეულის მებრძოლები, რომლებმაც ამ ბრძოლებში კვლავ თავი ისახელეს, დაჯილდოებულ იქნენ წარჩინების ნიშნებით და პირველი ხარისხის რკინისჯვრებითაც კი.

ბოლშევიკებთან ომის პირველსავე წელს, საბჭოთა კავშირის მრავალი ტყვე შეუერთდა მიემხრო გერმანულ არმიას: დღეს, რუსული განმათავისუფლებელი არმიისა და ყაზახთა ნაწილების გვერდით, სდგანან კავკასიელთა და თურქესტანელთა ლეგიონები. თავგამოდებით იბრძვიან თავიანთი სამშობლოსათვის ყირიმისა და ვოლგის თათრები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, თურქესტანელები, ყალმუხები...

მიზანი აღმოსავლეთის მოხალისეებისა არის ბოლშევიკური მონობისაგან გამოხსნა და საკუთარი ეროვნული თავისუფლების მოპოვება. გერმანიის არმიის ჯარისკაცებთან ერთად, ისინი იბრძვიან როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში და მრავალი სასახელო ფურცელიც ჩასწერეს საკუთარი ხალხების ისტორიაში.

საზღვარგარეთული სამხედრო მეთვალყურეთათვის გამოუცნობი დარჩა, რატომ იბრძოდნენ აღმოსავლეთის მოხალისენი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ასეთი მოულოდნელი სიმამაცით. ისინი ამედოვნებდნენ, რომ გერმანელთა უკანდახევა აღმოსავლეთის ფრონტზე გამოიწვევდა აღმოსავლეთის მოხალისეთა სამხედრო სულის შესუსტებას. მაგრამ მძიმე თავდაცვითმა ბრძოლებმა დასავლეთის ფრონტზე და იტალიაში გვიჩვენეს, რომ მათი ეს ვარაუდი ყალბი გამოდგა. პირიქით, გერმანულმა სარდლობამ აღიარა და დაადასტურა მათი ერთგულება იმით, რომ გაათანასწორა აღმოსავლეთის მოხალისენი სხვა ევროპელ მოხალისეებთან. ამის საფუძველზე ძველი განმასხვავებელი ნიშნები უარყოფილ იქნა, განსხვავება ეხლა მხოლოდ კოკარდებითა და მკლავზე სატარებელი ეროვნული ნიშნებით შეიძლება.

ვლასოვისა და მისი ფორმაციის შესახებ გერმანულ ოფიციალურ პრესაში აქამდე თუ ცოტა იწერებოდა, ეს აიხსნება იმით, რომ გერმანული სარდლობა საზოგადოებას აუწყებს სამხედრო გადაწყვეტილებათა შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილებათა განვითარება უკვე განსაზღვრულ და საბოლოო ფორმას ღებულობს. გერმანელი ჯარისკაცი, რომელიც მოხალისეებთან ერთად ბრძოლაში მხარდამხარ სდგას ფრონტზე, მათ სათანადოდ აფასებს და პატივს სცემს. გერმანელი ჯარისკაცი ხედავს მათში გერმანული არმიის მოკავშირეს თავისუფლებისა და არსებობისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში.

მამაცი მეთაური

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან

ჩვენს ნაწილში ბევრია ისეთი ენერგიული და მოხდომებული ოფიცერი, რომელთა დამოკიდებულება მებრძოლებისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს იმსახურებს. მათი მუშაობა დანაყოფში მთლიანად მიმართულია იქითკენ, რომ ქართველ მებრძოლ ახალგაზრდობას საუკეთესო პირობები შეუქმნას მეცადინეობისა და ცხოვრებისათვის.

ასეთ მეთაურთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ ასეულის მეთაური, გერმანელი ლეიტენანტი შ. მისი ასეულის თვითეული მებრძოლი და უმცროსი მეთაური გამსჭვალულია მისდამი განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობით. მებრძოლი მეგობრის პატივისცემა სცილდება ასმეთაურისა და ასეულის წევრთა ურთიერთობის ჩვეულებრივ ფარგლებს და იშვიათ გულთბილ დამოკიდებულებაში გადადის. ჩვენი ასეულის მებრძოლებს რომ ჰკითხოთ — ვინ არის ლეიტენანტი შ., ისინი, თავისი ხელმძღვანელის სახელის გაგონებით სახეგაბრწყინებულნი, მყისვე გაპასუხებენ: „ჩვენი აღმზრდელი, ჩვენი მამა, ჩვენი დაუფასებელი ხელმძღვანელი".

ყოველდღიურ, სანამ იგი ასეულში მოვიდოდეს, მებრძოლები გაფაციცებით ელიან მის გამოჩენას. როგორც კი ლეიტენანტი შ. მიესალმება მოწყობილ ასეულს, მყისვე დაიგრიალებს მოხალისეთა ერთსულოვანი პასუხი. ამ პასუხში ისინი გამოხატავენ თავიანთი უახლოესი მეგობრისადმი ურყევ ერთგულებასა და ერთსულოვნებას.

რით დაიმსახურა ლეიტენანტმა შ-მ ასეთი სანუკვარი სიყვარული და პატივისცემა ქართველ მოხალისეთა შორის? პირველ რიგში იმით, რომ ის მთელ თავისუფალ დროს თავისი ასეულის მებრძოლთა შორის ატარებს. მუდმივად მათს წრეში ტრიალებს და იცნობს მათ, როგორც საკუთარ თავს. იგი ყოველთვის მათთან არის, როდესაც მოხალისეები კულტურულად ერთობიან, იშვიათი გულისყურით ისმენს ქართულ სიმღერებს, მეტად აინტერესებს ჩვენი ხალხური მუსიკა და ცეკვები. თვითონ იგი მოხდენილად აჟღერებს გიტარაზე ქართულ რომანსებს. ლეიტენანტი შ. დიდ დაინტერესებას იჩენს აგრეთვე ჩვენი ენისა და კულტურის შესწავლაში, ღრმა პატივისცემით ეპყრობა ჩვენს გმირულ წარსულს.

ლეიტენანტი შ. უკვე დიდიხანია მუშაობს ქართულ ნაწილებში. მისმა ასეულმა თავი ისახელა ჯერკიდევ 1943 წელს კავკასიის ფრონტზე. ამ ასეულის ქართველმა მოხალისეებმა საბოლოოდ დაუმტკიცეს მის მეთაურს, რომ ქართული პატიოსნება და მხნეობა, შეერთებული გერმანულ წესრიგსა და დისციპლინასთან, წარმოადგენს ძალას, რომელსაც შეუძლია სასწაულები მოახდინოს. ლეიტენანტმა შ-მ, თავის ქართულ ასეულთან ერთად, იშვიათი საგმირო მაგალითები უჩვენა ნორმანდიის ფრონტზეც, შერბურგთან ახლოს. აქ იგი დაიჭრა და შემდეგ მის შესახებ არაფერი ვიცოდით...

ლეიტენანტი შ-ს ყოფილ მებრძოლთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ახლადჩამოყალიბებულ ქართულ ნაწილში იგი კვლავ ჩვენს ასეულს სათავეში ჩაუდგა! განახლდა ძველი მეგობრობა, რომელიც ასე მტკიცედ გამოიჭედა ბრძოლის ველზე, ყუმბარისა და ნაღმების გრიალში...

ეს მეგობრობა კიდევ მოახდენს სასწაულებს, როდესაც ამის ჯერი დადგება.

მოხ. თონა.

მოხალისეთა როლი აღმოსავლეთის ფრონტზე

ტუკუმის ახლოს (კურლანდია) შესდგა გრენადერთა ერთერთი დივიზიის მებრძოლთა საზეიმო შეკრება. აღმოსავლეთის 250 მოხალისეს გადაეცა მამაცობისა და დამსახურების ნიშნები.

დიდი თავდაცვითი ბრძოლების მეოთხე დღეს ამინდი მკვეთრად შეიცვალა. ცა შავი ღრუბლებით დაიფარა. გაყინული ნიადაგი გალღვა და გაუვალ ჭაობად გადაიქცა. მოწინააღმდეგის ტანკებმა წინსვლა შეაჩერეს. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლას არ მიუღწევია თავისი უმაღლესი მწვერვალისათვის, მაინც ჩვენი დივიზიების თავდაცვითი წარმატებანი უკვე ნათელი ხდება.

ერთერთ უკანასკნელ დღეს მოგერიებულ იქნა მტრის 37 იერიში. იმავდროულად გაწმენდილ იქნა შემოჭრის რამდენიმე ადგილი, განაპირა ზოლში, ჩვენმა გრენადერებმა, აწყობილნი რა ფრონტის ხაზს, გაანადგურეს მტრის 6 ტანკი, ხელთ იგდეს 2 ტანკი, 17 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და რამდენიმე ტყვიამფრქვევი. გარდა ამისა, მტერმა განიცადა დიდი ზარალი მოკლულთა და ტყვეების სახით.

საზენიტო არტილერიამ და გამანადგურებლებმა მხოლოდ ერთ დღეს ჩამოაგდეს 33 თვითმფრინავი. 17 დეკემბრიდან ბოლშევიკებმა დაჰკარგეს 237 თვითმფრინავი, მათ შორის 135 მხოლოდ უკანასკნელი 3 დღის განმავლობაშია ჩამოგდებული. ამავე დროს, გერმანელთა დანაკარგი მხოლოდ 3 თვითმფრინავს შეადგენდა. მესამე შემოტევის დროს ბოლშევიკებმა მარტო ორ დღეში დაჰკარგეს 88 ტანკი.

მიუხედავად მატერიალური უპირატესობისა და 25 მსროლელი დივიზიისა, რომელიც ბოლშევიკებმა გამოიყენეს კურლანდიაში, მტრის ყოველი ცდა, გაერღვია გერმანელთა პოზიციები ლიბავასთან, ვინდავასა და ფრაუენბურგთან, უშედეგოდ დამთავრდა.

ქართული ლაზარეთის თანამშრომელი ქალები და მოწყალების დები.

მოხალისეთა შემოქმედება

ძველ ნანგრევებთან

მოხ. ამური

ის ციხეკოშკი ძველთა მეფეთა,
აწ მოხავსებულ ქვებად შთენილი,
იდგა ზვიადი და მოწყენილი
და მასთან მისვლა ვერ გამებედა.
ვინმე ჯადოქრის ხელით ნაგები
ჩემთა წინაპართ დიდი ნასახლი...
ეხლა რჩენილა მხოლოდ ნასახი
იმ დარბაზების და ფარდაგების.
ამ ციხეკოშკთან ძველთა მეფეთა
მე სიყვარული შემომეფეთა...
...და ირხეოდნენ დიდი მუხები...,
აქ სიყვარულის სრა აეშენე,
ის ამ დიდებულ ნანგრევს ამშვენებს,
ჰაეროვანი და ხელუხლები.

ο

ფერეიდანი

მოხ. ფიქრია არაბული

მაინც რათ დარჩა მიკვირს ამდენხანს
ჩემში ჭრილობად ფერეიდანი,
ალბათ მწუხარე გულს ვერ მოითხობს
ქართლი,—სისხლის და ცრემლის მადანი!
ო! რა მძვინვარე დრო იყო მაშინ,
ო! რა მძვინვარე ის შაჰ-აბაზი!
მემატიანის ძველ წიგნებს გავშლი
და თვალს ობოლი მძივები აზის.
სულს მოედება მძიმე ნაღველი
და შემაშფოთებს სისხლი ნადენი,
ქართლი ცეცხლის და ნგრევის მნახველი,
როგორ ეწამის კიდევ ამდენი,
რამდენი გმირი თვალს მიეფარა,
ჩააგეს ხმალი და დაიფანეს!
მაგრამ არ იქნა, არა და არა,
კვლავ ახმაურდა მათი სავანე.
ეხლაც მწუხარედ სდგას, სულში წვის
ქართლი,—სისხლის და ცრემლის მადანი
და საქართველოს ბევრ არწივის
კუბოს შეანძრევს ფერეიდანი!

მებრძოლი

გელა

აღთქმულ გზებით ვიდოდი,
აღთქმულ გზებით მივდივარ;
ვნახე ბევრი ვაება,
ბევრი მწარე დღეები,
ცეცხლმა რწმენა გაჭედა,
ტანჯულ ქვეყნის შვილი ვარ,
მომავალი მიტაცებს,
ბრძოლას ბრძოლით მივყვები!
ჩემი რწმენა სხივია,
მშვენიერი სამყარო,
ვერ შეაკრთობს ტანკები
და ვერც მძლავრი ყუმბარა,
ვის ჰგონია საბრალოს
იარაღი დავყარო,
ბრძოლის გზებზე აღსდგება
ჩემი კოხტა ქვეყანა!..

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	ორ. ახალი წელი	ხ.	ხ.	კ.	ს.	პ.	კ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	შ.
2	ს.	პ.	პ.	ორ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	კ.	ს.	პ.	კ.
3	ოთ.	შ.	შ.	ს.	ხ.	კ.	ს.	პ.	ორ.	ოთ.	შ.	ორ.
4	ხ.	კ.	კ.	ოთ.	პ.	ორ.	ოთ.	შ.	ს.	ხ.	კ.	ს.
5	პ. ნათლის-ღება	ორ.	ორ.	ხ.	შ.	ს.	ხ.	კ.	ოთ.	პ.	ორ.	ოთ.
6	შ.	ს.	ს.	პ.	კ. აღდგომა	ოთ.	პ.	ორ.	ხ.	შ.	ს.	ხ.
7	კ.	ოთ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	შ.	ს.	პ.	კ.	ოთ.	პ.
8	ორ.	ხ.	ხ.	კ.	ს.	პ.	კ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	შ.
9	ს.	პ.	პ.	ორ.	ოთ. ბზობა	შ.	ორ.	ხ.	კ.	ს.	პ.	კ.
10	ოთ.	შ.	შ.	ს.	ხ.	კ.	ს.	პ.	ორ.	ოთ.	შ.	ორ.
11	ხ.	კ.	კ.	ოთ.	პ.	ორ.	ოთ.	შ.	ს.	ხ.	კ.	ს.
12	პ.	ორ.	ორ.	ხ.	შ.	ს.	ხ.	კ.	ოთ.	პ.	ორ.	ოთ.
13	შ.	ს.	ს.	პ.	კ.	ოთ.	პ.	ორ.	ხ.	შ.	ს.	ხ.
14	კ.	ოთ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ. ამაღლება	შ.	ს.	პ.	კ.	ოთ.	პ.
15	ორ.	ხ.	ხ.	კ.	ს.	პ.	კ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	შ.
16	ს.	პ.	პ. ყველიერი	ორ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	კ.	ს.	პ.	კ.
17	ოთ.	შ.	შ. ყველიერი	ს.	ხ.	კ.	ს.	პ.	ორ.	ოთ.	შ.	ორ.
18	ხ.	კ.	კ. ყველიერი	ოთ.	პ.	ორ.	ოთ.	შ.	ს.	ხ.	კ.	ს.
19	პ.	ორ.	ორ. დიდი მარხვა	ხ. [illegible]	შ.	ს.	ხ.	კ.	ოთ.	პ.	ორ.	ოთ.
20	შ.	ს.	ს.	პ.	კ.	ოთ.	პ.	ორ.	ხ.	შ.	ს.	ხ.
21	კ.	ოთ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	შ.	ს.	პ.	კ.	ოთ.	პ.
22	ორ.	ხ.	ხ.	კ.	ს.	პ.	კ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	შ.
23	ს.	პ.	პ.	ორ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	კ.	ს.	პ.	კ.
24	ოთ.	შ.	შ.	ს.	ხ.	კ.	ს.	პ.	ორ.	ოთ.	შ.	ორ.
25	ხ.	კ.	კ.	ოთ.	პ. საქ. დამოუკ. დღე	ორ.	ოთ.	შ.	ს.	ხ.	კ.	ს. შობა
26	პ.	ორ.	ორ.	ხ.	შ.	ს.	ხ.	კ.	ოთ.	პ.	ორ.	ოთ.
27	შ.	ს.	ს.	პ.	კ.	ოთ.	პ.	ორ.	ხ.	შ.	ს.	ხ.
28	კ.	ოთ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	შ.	ს. მარიამობა	პ.	კ.	ოთ.	პ.
29	ორ.		ხ.	კ.	ს.	პ.	კ. პ. ბოგლ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	შ.
30	ს.		პ.	ორ.	ოთ.	შ.	ორ.	ხ.	კ.	ს.	პ.	კ.
31	ოთ.		შ.		ხ.		ს.	პ.		ოთ.		ორ.

ბუნებისმეტყველის კუთხე

ფრინველთა გადაფრენა ამიერკავკასიაში

ფრინველთა ამიერკავკასიაში გადაფრენასა და მათ იქ დაბინავებაში კავკასიის მთაგრეხილი უდიდეს როლს თამაშობს და ითვლება ამის მთავარ მიზეზად, რომ ამიერკავკასია ფრინველებით ნაწილობრივ ღარიბი მხარეა. საშემოდგომო მხარის დროებით დატოვების დროს ფრინველები ირჩევენ ისეთ გზებს, რომლებიც მათთვის ხელსაყრელია და, რაც მთავარია, უხიფათო საკვებით. მეტად ცოტა ფრინველთა ისეთი ჯიშები, რომლებიც დაუბრკოლებლივ აწარმოებენ უდიდესი სიმაღლეების გადაფრენას. ევროპულ რუსეთში ფრინველთა გადაფრენის გზები მხოლოდ ორია. ერთი მათგანი მდინარე ვოლგის მიმდინარეობას მიჰყვება და ფრინველთა ნაწილს გზას წარმოადგენს. შემოდგომით ვოლგის შესართავთან ფრინველების უზარმაზარი რიცხვი იყრის თავს. აღნიშნული მარშრუტი თვით ბუნებამ დაუსახა მათ. ფრინველები აქედან განაგრძობენ თავიანთ გზას კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროს გასწვრივ და აღწევენ მაზანდარანს. აქ ისინი ეწვევიან სრუტეთა და ტბათა დაბლობებში პოულობენ ყველაფერს, რაც მათთვის აუცილებელია. იმ შემთხვევაში, თუ ისინი საზამთროდ აქ დარჩენას არ აპირებენ აგრძელებენ გადაფრენას და ისვენებენ მეზოპოტამიასაკენ მხოლოდ ბელუჯისტანში, ირანის ყურის სანაპიროებზე, ვინაიდან ირანის შუაგული ზამთარში მათთვის მეტად არასტუმართმოყვარე ადგილია.

მეორე გზა დნეპრით, დონით და სხვა მარშრუტით მოფრენილ ფრინველებს თავს უყრის შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე. აქედან ისინი დარდანელის სრუტით სირიაში მიემგზავრებიან. ეს მიმართულებაც უდიდეს გზად ითვლება. ფრინველთა მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევს თავისთვის სანაპირო მიდამოებს. აქედან ისინი შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროების გასწვრივ და უამინდობის გამო შედიან მდინარე რიონის ქვედინებებში. კავკასიის მთაგრეხილზე ამიერკავკასიაში გადადის მხოლოდ განთქმული წერო, რომელსაც არ აშინებს მისი მწვერვალები და ძლიერი ზიდი, რომლის გადაფრენის ჩვეულებრივ დროს აქ ხშირად ვერ შეამჩნევთ; იგი სამხრეთისაკენ კავკასიის ალპებზე ზოგჯერ ოქტომბრის შუა რიცხვებში ან მის დამლევს აწარმოებს გადაფრენას. ამიერკავკასიაში მომთაბარე ფრინველთა საერთო მასა ადგილის გადანაცვლებას ახდენს შერჩეულ მიდამოებში ორი ზღვის სანაპიროთა დასავლეთით და აღმოსავლეთით. მდინარეების დინების გასწვრივ მომთაბარე ფრინველების დიდი ნაწილი აქ სრულიად არ შედის. ამრიგად, ფრინველები ადგილის გადანაცვლებისას დიდ დაბრკოლებას განიცდიან ირანის ზეგანისა და კავკასიის მთაგრეხილისაგან, ვინაიდან აღნიშნული ადგილების სიმკაცრე და სიმაღლეები მათ გადაფრენას დიდ წინააღმდეგობას უწევენ. ეს არის ზუსტად ამიერკავკასიის მიწაყრილისა და ტბების როგორც სხვა, ისე უმთავრესად მკვიდრი ფრინველთა სიღარიბის მთავარი მიზეზი. რადგან ფრინველთა გზები ზემოაღნიშნული მარშრუტებით განისაზღვრება, ამიტომ ადვილი ასახსნელია ის გარემოება, რომ ქართველი მონადირენი შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებისაკენ მიილტვიან ფრინველზე სანადიროდ.

მოხ. ბ. რიონელი.

განცხადება

გაზ. „საქართველოს" რედაქცია აცნობებს ყველა ქართველ მოხალისეს და მოქალაქეს, რომ ყოველგვარი საორგანიზაციო საკითხებისათვის მათ უნდა მიმართონ ქართულ საკავშირო შტაბს შემდეგი მისამართით:

Berlin NW 7.
Hegelplatz 2.
Tel. 16-43-61.
Georgischer Verbindungsstab.

დასვენების დრო ქართულ დანაყოფში.

საინტერესო თემაზე

საიდან წარმოსდგება დედამიწის ნაწილების სახელწოდებანი?

საიდან წარმოსდგება ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის სახელწოდებანი?

ძველად ორი მათგანი ევროპა და აზია. მათი წარმოშობა უძველეს ხანას მიეკუთვნება. იმ დროს აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბინადრობდა ერთი, არეული ტომი ერი — ფინიკიელები, რომელთა ძირითად საქმიანობას ვაჭრობა შეადგენდა. ისინი ყოფილიყვნენ აღმოსავლეთში და ხმელთაშუა ზღვით გამოსწვრივ მორეულ ქვეყნებში. ზღვის დასავლეთით მდებარე ადგილებს, სადაც ფინიკიელები ვერ ხედავენ აღმოსავლეთით შემდეგ სინათლეს, ისინი უწოდებდნენ „ერებს" ე. ი. ქვეყანას, სადაც მზე ჩადის („ევროპა", ფინიკიურ ენაზე ნიშნავს ბნელს).

იმ ქვეყნებს, რომლებიც მდებარეობდნენ მოწინააღმდეგე მიმართულებით, ფინიკიელები უწოდებდნენ „ასუს", ე. ი. ქვეყანას, სადაც მზე ამოდის („ასუ" ანუ „აზუ" ნიშნავს ნათელს). ამ სიტყვებიდან შემდეგში ბერძნებმა წარმოშვეს სახელწოდებები „ევროპა" და „აზია".

ფინიკიელები თავისდროზე მეტად განვითარებული და პრაქტიკული ხალხი იყო. მათ მიერ შექმნილი კულტურა ათვისეს სხვა ქვეყნებმა, უმთავრესად საბერძნეთმა. დედამიწის ორი კონტინენტის სახელწოდება — ევროპა და აზია, ბერძნებმა გადაიღეს ფინიკიელებისაგან და შემდეგ გაავრცელეს მათ მიერ დაპყრობილ ყველა ქვეყანაში, რომლების საშუალებით მათ მიაღწიეს ჩვენ დრომდე.

ცოტა მარტივია სიტყვა „აფრიკის" წარმოშობა. ბერძნები, რომაელები, ეგვიპტელები და კართაგენელებიც კი დიდხანს განმავლობაში იცნობდნენ აფრიკის მხოლოდ ჩრდილოეთ სანაპიროებს. დანარჩენი ნაწილი, აფრიკიდან ევროპის კონტინენტზე არაბების შემოსვლის შემდეგაც კი, ჩამოთვლილი ერებისათვის უცნობი იყო. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (მეხუთე საუკუნე ქრისტეს დაბადებამდე), რომელმაც აღწერა ჩრდილოეთ აფრიკა, სახელდობრ ლიბიის სანაპიროებზე, უწოდებს ლიბიას მთელ აფრიკას. გარდა ამისა, ითვალისწინებს რა სუეცის ვიწრო ყელს, რომელიც აფრიკას აზიისაგან ჰყოფს, ჰეროდოტე აფრიკის კონტინენტს აზიად აკუთვნებს.

სიტყვა „აფრიკა" პირველად რომაელებმა შემოიღეს ხმარებაში. როდესაც ისინი გაეცნენ ჩრდილოეთ-აფრიკას (კართაგენის სამფლობელოები), აღმოაჩინეს, რომ მოსახლეობა იქ ატარებს ძირითად სახელს — „აფრი". ამ სიტყვიდან რომაელებმა გააკეთეს „აფრიკანი", ხოლო კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილს ეგვიპტის გამოკლებით, „აფრიკა" უწოდეს.

აფრიკის დანარჩენი ნაწილი ადამიანისათვის მისაწვდომი გახდა მხოლოდ შუასაუკუნეებში, მას შემდეგ, რაც აღმოჩენილი იქნა საზღვაო გზები მის ირგვლივ. კონტინენტის შიგა რაიონები ბოლომდე გამოკვლეული არ იყო, მაგრამ სახელწოდება „აფრიკა" დაერქვა მთელ მის სანაპიროს. შემდეგში, როდესაც მოეწყო მატერიკის გამოკვლევა, ამ სახელწოდებამ კვლავ გაიმარჯვა და მთელ კონტინენტს საბოლოოდ აფრიკა დაერქვა.

ამრიგად, სიტყვა „აფრიკა" რომაელებმა კართაგენელებისაგან აიღეს. თუ მოვიგონებთ, რომ კართაგენის მოსახლეობა ფინიკიელების შთამომავალი იყო, გამოდის რომ ქვეყნის სამი ნაწილის სახელწოდება ფინიკიელებისაგან მომდინარეობს.

მეტად თავისებურია სიტყვა „ამერიკის" წარმოშობა. ჩრდილო-ამერიკა აღმოჩენილ იქნა ჩრდილოგერმანელი ვიკინგების მიერ (ვიკინგი — სკანდინავიური მეზღვაური, მებრძოლი) ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში. ვიკინგმა ლეიფ ერიქსონმა, რომელმაც პირველმა მიაღწია ჩრდილოეთ ამერიკას, უწოდა მას „ვინლანდი". ეს სახელწოდება დიდხანს შერჩა აღმოჩენილ კონტინენტს. ვიკინგები რამდენჯერმე ესტუმრნენ ამერიკას. 1472 წელს დანიელი ვიკინგების ექსპედიციამ მიაღწია ნიუ-ფაუნდლენდს, მაგრამ მატერიკის საერთო სახელწოდება არც მაშინ და არც კოლუმბის მოგზაურობის დროს ჯერ კიდევ არ იყო გამონახული.

1499-1504 წლებში, ახალი მატერიკი გამოიკვლია იტალიელმა მეზღვაურმა ამერიგო ვესპუჩიმ, რომელმაც ახალ ქვეყანას მრავალი შრომა მიუძღვნა. 1507 წელს გერმანელმა მეცნიერმა ვალდზემიულერმა შეადგინა მსოფლიოს რუკა და ახლად შესწავლილ ქვეყანას მისი იტალიელი მკვლევარის პატივისცემით ამერიკა უწოდა.

კიდევ უფრო ახალგაზრდაა სახელწოდება „ავსტრალია". ავსტრალიის ჩრდილოეთ სანაპიროები პირველად აღმოაჩინეს 1606 წელს ჰოლანდიელებმა და მას უწოდეს „ახალი ჰოლანდია". შემდეგში თანდათანობით ხდებოდა მისი შესწავლა და მხოლოდ 1825 წელს მოხდა ამ მატერიკის გადარქმევა. სიტყვა „ავსტრალია" ლათინური წარმოშობისაა. „ტერა ავსტრალის" ნიშნავს „სამხრეთის მიწას", ე. ი. მიწას, რომელიც სამხრეთ ნახევარსფეროს ზღვებში მდებარეობს.

მოხ. ბ. პ.

მოკლე ცნობები

* მოიერიშეთა ერთ-ერთი ... „ლაიბშტანდარტის" ... პოლკოვნიკს ... ფრონტზე მებრძოლ არმიის უმაღლესი ჯილდო მამაცობისათვის — ხმლებითა და ბრილიანტებით მოოქროვილი მუხის ფოთლებიანი რაინდის რკინის ჯვარი. ამ ნიშნით დაჯილდოვებულია ჯერჯერობით მხოლოდ 12 კაცი.

* ჟენევიდან იტყობინებიან, რომ „განთავისუფლებულ" ჰოლანდიაში მეტად მძიმე მდგომარეობაა. მოსახლეობა განიცდის დიდ საზრდოთი კრიზისს. პურის ულუფა კვლავ შეამცირეს. შაქარი და კარაქი სრულიად არ აძლევენ. ქალაქებში არ მოქმედებს აირი და ელექტროგანათება.

* შვეიცარიის ერთ-ერთმა გაზეთმა ბრიტანეთში, რომელიც ამჟამად ლონდონში იმყოფება, ერთ-ერთ ... ცნობები „V1" და „V2" ცეცხლის მოქმედების შესახებ. იგი, სხვათაშორის, სწერს, რომ ლონდონის მეტროს სადგურებზე ყოველდღიურად ღამეს ათევს ათასობით ქალი და ბავშვი. მათ შორის არიან ისეთნიც, რომელთაც ლონდონის დაბომბვის დაწყებიდან არცერთი ღამე არ გაუტარებიათ თავიანთ ბინაში.

* იაპონიის სამხედრო მინისტრმა ფელდმარშალმა სუგიიამამ განაცხადა, რომ აღმოსავლეთ აზიის ფრონტზე ამერიკელთა დანაკარგი ჯერჯერობით შეადგენს 360.000 კაცს.

* უნგრეთის იმ ოლქებში, რომელიც დროებით წითელი არმიის მიერ არის დაკავებული, ბოლშევიკებმა შექმნეს „ეროვნული მთავრობის კომიტეტი". კომიტეტს მეთაურობს ცნობილი უნგრელ-ბოლშევიკი მიკლოში. ეს ის მიკლოშია, რომელიც თავისდროზე ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა და თავისი არმიის სამხედრო თანხებიც გაიტაცა.

* ინგლისსა და ამერიკაში მეტად საგრძნობი გახდა სატრანსპორტო გემების ნაკლებობა. ამიტომ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული არიან შეამცირონ საქონლის შეზიდვა სამხრეთ ამერიკიდან.

* დასავლეთის ფრონტზე წარმოებულ შეტევასთან დაკავშირებით გენერალი ეიზენჰაუერის შტაბიდან გაწვეულია ბევრი ოფიცერი. განსაკუთრებით ... ვაშინგტონი მათ პასუხისგებაში აძლევს.

ნარევი

უცნაური წიგნები

ყველაზე დიდი წიგნი თავისი სიმძიმით — „იტალიის ისტორია" გამოიცა გერმანიაში. მისი წონა უდრის 48 კილოგრამს.

ყველაზე დიდი გამოცემა მოცულობით არის ბრიტანეთის სახელმწიფო ლექსიკონი. იგი შეიცავს 4.020 ტომს. თვითეულ ტომში 270 გვერდია.

ყველაზე დიდი წიგნი ფორმატით არის 1.830 წელს გამოცემული გეოგრაფიული ატლასი. მისი გვერდების სიმაღლე 1.90 მეტრს უდრის, ხოლო სიგანე — 90 სანტიმეტრს. ეს წიგნი ინახება ვენის წიგნსაცავში.

ყველაზე პატარა წიგნი გამოიცა იტალიაში (ქ. პადუა) 1897 წელს. მასში 208 გვერდია. თვითეული გვერდის სიმაღლე 10 მილიმეტრს უდრის, ხოლო სიგანე — 6 მილიმეტრს. ამ წიგნში, სხვათაშორის, მოყვანილია ასტრონომ გალილეის გამოუქვეყნებელი წერილი, რომელიც მან დაწერა 1615 წელს.

ვენის კოშკის ისტორია დაიბეჭდა წიგნად, რომლის სიდიდე 5 X 5 მილიმეტრია.

ბუ

ბუ მიეკუთვნება ფრინველთა იმ ჯგუფს, რომელთაც თვალები უმოძრაოდ აქვთ და მხოლოდ პირდაპირ იყურებიან. სამაგიეროდ განვითარებული კისრის მოძრაობით იგი ახერხებს თვალების ხელოვნურ ანაზღაურებას; ბუს თავის შემობრუნება 260 გრადუსით შეუძლია!

ჰანს ხროტოტი

რუდოლფ ფურსტს გადაწყვეტილი ჰქონდა, ცოლი არ ეთხოვა მანამ, სანამ უმაღლეს სასწავლებელს არ დაამთავრებდა. ამ პერიოდს ის მართლაც მტკიცედ იცავდა. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და რუდოლფმაც ინჟინრის დიპლომის მიღების შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქა. მისთვის უპირველესი იყო სიცოცხლის სამსახური კარგი ხელფასით. იგი გულმოდგინედ შეუდგა მუშაობას. თავისუფალ დროს მეცადინეობით ათვალიერებდა გაზეთების უკანასკნელ გვერდს, სადაც სხვადასხვა უმნიშვნელო განცხადებები იყო მოთავსებული.

ერთ მშვიდ კვირა დღეს რუდოლფ ფურსტი ბაღში სეირნობდა. მის თავში ათასგვარი ახალგაზრდული ფიქრი ირეოდა... რუდოლფი მერხთან მივიდა და დაღლილი ჩამოჯდა. მიუხედავად კარგი ამინდისა, ბულვარი ცარიელი იყო და მის ახლოს მოსეირნენი კინტოკუნტად მიმოდიოდნენ. რუდოლფმა მერხის მეორე თავში გაზეთის ნახევი დაინახა. თითქოს რაღაც იდუმალმა ძალამ მიიზიდაო, მიუჩდა მისკენ. ის წაიღო და ხელში აიღო. სხვა მისთვის საინტერესო ცნობათა შორის, რუდოლფმა შემდეგი წაიკითხა: „ახალგაზრდა ქალიშვილი, კარგი ოჯახიდან, ბუნებისა და მუსიკის დიდი მოყვარული, სურს გაიცნოს ახალგაზრდა მამაკაცი დაქორწინების მიზნით. X.V. 356".

„ბუნებისა და მუსიკის დიდი მოყვარული", — წყნარად გაიმეორა მან და ახალი იმედით გამოცოცხლებული, ფოსტისაკენ გაეშურა. სასურველი განცხადება მაღაზიაში იყო სავსე. მან სასწრაფოდ ადგილი იპოვა და საპასუხო წერილს წერას შეუდგა. „დიდად პატივცემულო უცნობო ქალიშვილო! წინასწარ გიხდით მადლობას იმ განცხადებისათვის, რომელიც თქვენს მიერ გაზეთში იყო გამოქვეყნებული. ბედნიერი ვიქნებოდი, თუ მომეცემოდა საშუალება და თქვენს მიდრეკილებას მუსიკისა და ბუნებისადმი შესაფერისად შევეწყობოდი ხელს. გთხოვთ გვაცნობოთ, როდის და სად შეიძლება თქვენი ნახვა.

პატივისცემით რ. ფურსტი".

რუდოლფმა თითქმის მთელი კვირა ილუზიებში გაატარა. ერთ დღეს, როდესაც ის სამუშაოდან დაბრუნდა, კარებთან ცისფერი კონვერტი დაინახა. იგი ცნობისმოყვარეობით დახსნა წერილს და სწრაფად დაუწყო კითხვა:

„დიდად პატ-ლო ბატონო! თქვენს მიერ ჩემდამი მოწერილი სტრიქონებისათვის უღრმესი მადლობა. სამწუხაროდ, ამ დღეებში ჩვენ არ შეგვიძლია ერთმანეთის შეხვედრა, ვინაიდან გაცივების გამო შინიდან ვერ გავდივარ და ექიმი ნებას არ მაძლევს გარეთ გამოვიდე. ვიმედოვნებ, რომ ერთმანეთი მოგვეწონება. მე ჯერ-ჯერობით სულ ახალგაზრდა ვარ. მაქვს ოქროსფერი თმა და დიდრონი ცისფერი თვალები. მომწერეთ კიდევ.

ილზე ვერნერი."

ახალგაზრდა ვაჟი აღტაცებაში მოვიდა ლამაზი ხელწერით და, რაც მთავარია, დიდრონი ცისფერი თვალებით, რომელიც მან თავის წარმოდგენაში შესაფერისად დახატა. რუდოლფი ამ წუთშივე დაჯდა და აღტაცების ჟამს შემდეგი მისწერა ილზეს:

„უკვე ეხლა შევეტრფიალე იმ დღეს, როცა ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით. თქვენმა კარგმა ხელწერამ დამარწმუნა თქვენს წესიერებაში და სილამაზეში. ჩემი წარმოდგენით თქვენ მეტად მომხიბვლელი უნდა იყოთ! ჩემი აზრები მუდამ თქვენს გარშემო ტრიალებენ და მშვენიერებით გარს გვევლებიან. გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას და...

მუდამ ერთგული თქვენი რუდოლფ ფურსტი".

ხანმოკლე წერილი უფრო მალე მოვიდა, ვიდრე მოელოდა. ილზე ვერნერი ქმაყოფილი სწერდა:

„განსაკუთრებული მადლობა იმ სურვილებისათვის, რომელიც თქვენ ჩემი ჯანმრთელობისადმი გამოთქვით. ამჟამად შემიძლია დაგამშვიდოთ. მე ყოველდღიურად უკეთ ვგრძნობ თავს. თქვენი ლამაზი წერილებით ჩემში აღვიძებთ სურვილს თქვენი სურათის ნახვისადმი. მოიფიქრეთ, სად შეგვიძლია ერთმანეთს შევხვდეთ".

ახალგაზრდა მეოცნებემ მაშინვე გადაჭრა ამბავი, ამოარჩია ერთი კარგი სურათი და შემდეგი წერილი დაწერა: „აჰა წარმოიდგინეთ, როგორი ბედნიერი ვარ თქვენი გამოჯანმრთელებით. წარმოდგენილი მაქვს, რა სასიამოვნო უნდა იყოს თქვენთან ერთად გასეირნება, კინოში წასვლა და სხვა. რა ყველა იმაზე, რაც ჩვენს ახალგაზრდა გულებს ისე სწრაფად ამოძრავებს... ჩვენი შეხვედრის ადგილად ვნიშნავ ლინდენმანის საზაფხულოს. იქ ბევრი მუსიკა და ლამაზი კუთხეებია, სადაც ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად ვისაუბროთ. თანახმა ბრძანდებით?"...

პასუხს არ დაუყოვნებია:

„გიხარიათ? — იწერებოდა ილზე — ექიმმა გასეირნების ნება დამრთო. თქვენი წინადადება ჩემთვის სრულიად მისაღებია. მოგელით ლინდენმანის საზაფხულოში, კვირას, 10 მაისს, 18 საათზე. გამოწყობილი ვიქნები ცისფერ კოსტუმში და ხელში მექნება ყვავილების თაიგული".

რუდოლფ ფურსტს გულმა ძგერა დაუწყო. ბავშვივით ითვლიდა თითებზე დღეებს და მოუთმენლად მოელოდა დანიშნულ დროს. კვირას რუდოლფი დილიდანვე შეუდგა სამზადისს. თავისი ყველაზე უკეთესი კოსტუმი, რომელიც მას ჰქონდა, ამოარჩია, მოწესრიგებული და სადღესასწაულო. მოვიდა დანიშნულ ადგილას და თვალი მოავლო. სავსე იყო. ის გარეთ გამოვიდა და ყვავილების მაღაზიაში თაიგული შეიძინა. წყნარი, მაგრამ აჩქარებული ნაბიჯით გასწია მან თვითმფრინავების შენობისაკენ. მთელი მისი ფიქრები მხოლოდ ილზეს და მასთან შეხვედრის გარშემო ტრიალებდნენ. ის თავისთავს მრავალჯერ იმეორებდა — ადვილი არ უნდა მეტყობოდეს და თავაზიანობა მჭირდება. აი, ლინდენმანის საზაფხულო. ახალგაზრდა ვაჟს გული ჩქარობდა. იგი თავდაჯერებით, ინტერესით შევიდა კარებისაკენ. ბოლოს, ერთხელ კიდევ გაისწორა ჰალსტუხი და შევიდა... ყველა მაგიდა თითქმის დაკავებული იყო. ზოგი საუბრობდა, ზოგი გაზეთს კითხულობდა, ზოგი პაპიროსს ეწეოდა. რუდოლფმა დარბაზს თვალი გადაავლო და — „ღმერთო ჩემო, ნეტავ ეს არის!" — გაიფიქრა მან. ფანჯარასთან მჯდომ ერთ მაგიდას ცისფერ კოსტუმში გამოწყობილი, შუახნის ქალი უჯდა, რომელიც რუდოლფს თვალს არ აშორებდა და ყვავილების თაიგულს ათამაშებდა. ახალგაზრდა ვაჟის სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა. მან ვერც კი მოასწრო იმის მოსაზრება, თუ რა უნდა გაეკეთებინა; თავისდაუნებურად მაგიდასთან მივიდა და ქალს მიესალმა. ქალმა სასიამოვნოდ გაუღიმა და სთხოვა დამჯდარიყო, რაც რუდოლფმა სურვილის გარეშე შეასრულა. მან ნერვიულად პაპიროსს მოუკიდა და ქალს თვალი შეავლო. „მატყუარა!" — ნაღვლიანად გაიფიქრა მან და უეცრად გაწითლდა...

O

გავიდა დაახლოებით ორმა თვემ. ლინდენმანის საზაფხულოში მაგიდას უსხდნენ რუდოლფ ფურსტი და ილზე ვერნერი. ისინი ბედნიერი თვალებით ერთმანეთს უმზერდნენ და წყნარად საუბრობდნენ.

„იცი რა, რუდოლფ, — მიმართა ილზემ ახალგაზრდა ვაჟს, — დედას უნდა, რომ ჩვენ საქორწინო ბეჭდები ვიყიდოთ".

„ეს ძალიან სასიხარულოა, მე დედაზე იმ დღე შემდეგ..."

„ოჰ! კარგი რუდოლფ, დედას უნდოდა, რომ მას ჩემზე ადრე გეცნო და შენს შესახებ ერთგვარი წარმოდგენა ჰქონოდა. პირველად მე ეს არ მსურდა, მაგრამ შემდეგ დავეთანხმე და აი, ხომ ხედავ, როგორი კარგად დამთავრდა ყოველივე — ბეჭდებიც მოვიგეთ!"

გერმანულიდან სთარგმნა
მოხ. თამაზ ჩოხელმა.

მთავარი რედაქტორი
გრ. ჩადუნელი

წერილები უნდა გამოიგზავნოს
შემდეგი მისამართით:

Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Potsdam, am Minenberg, Bararke 47.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა